კვირეული „ვერსია“

ვერსია

№42 (1632) 26 ოქტომბერი — 1 ნოემბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

როგორია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების თვალით დანახული სამყარო

28 ოქტომბრის არჩევნების სისხლიანი პრელუდია

რატომ მოიცილა საბჭოთა „კა გე ბე“-მ მერაბ კოსტავა – ბორითის ტრაგედიის 33-წლიანი საიდუმლო

რა შენიშვნები უნდა გაითვალისწინონ დეპუტატებმა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის შესახებ

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

ვისთვისაა სააკაშვილი „ოქროს კვერცხის მდებელი დედალი“

რატომ მოსწონს ჯონდი ბაღათურიას რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლა

რა შენიშვნები უნდა გაითვალისწინონ დეპუტატებმა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის შესახებ

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დასკვნა უკვე გამოაქვეყნა. ვიდრე დასკვნაში ასახულ იმ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს გაგაცნობთ, რაც პარლამენტარებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, შეგახსენებთ, რომ 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის 5%-იან (ნომინალურ გამოსახულებაში 79.6 მილიარდი ლარი) პროგნოზზეა დაგეგმილი. ბიუჯეტის კანონის პროექტით, 2023 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლები, მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით, 1.5-1.5 მილიარდი ლარით იზრდება. შემოსულობების ზრდა ძირითადად განპირობებულია „შემოსავლების“ მუხლის 1.4 მილიარდი ლარით ზრდით, ხოლო გადასახდელებისა – „ხარჯების“ მუხლის 856 მილიონი ლარით ზრდით. 2023 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 2.3 მილიარდი ლარის ნიშნულზეა პროგნოზირებული. დეფიციტის მსგავსად, ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელი მშპ-ს 39.4%-ის დონეზეა პროგნოზირებული და ორგანული კანონით განსაზღვრული 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია.

სახელმწიფო აუდიტორების შეფასებით, მსოფლიოში არსებული ინფლაციური პროცესებისა და მიმდინარე გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ფისკალური დისციპლინის მდგრადობა და ფისკალური პოლიტიკის პასუხების სწორად განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის შემდგომი განხილვის პროცესში, მიზანშეწონილია, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა გაითვალისწინონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემდეგი რეკომენდაციები:

„ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართული „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ დოკუმენტში, 2023 წლისთვის განსაზღვრული ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი 4.7%-ია და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზებთან შედარებით, ოპტიმისტურია; „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ დოკუმენტში წარმოდგენილი ეკონომიკური შოკები და მათგან გამოწვეული ეფექტები უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის რაოდენობრივ ინდიკატორებს, რაც შესაძლებელს გახდის მათი რეალიზაციის მასშტაბისა და გავლენის შეფასებას/ანალიზს; ასევე, მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის კანონპროექტს ახლდეს ინფორმაცია სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის რეალიზების შემთხვევაში, ფისკალური პოლიტიკის შესაბამისი პასუხების შესახებ; გარდა დოკუმენტში წარმოდგენილი რისკებისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ იდენტიფიცირებულია დამატებითი მაკროეკონომიკური რისკები. მიზანშეწონილია, ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებულ ვერსიაში გადაიხედოს „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ დოკუმენტში ასახული რისკები; ფისკალური რისკების კუთხით, საყურადღებოა, სახელმწიფოს საწარმოებიდან (SOE), ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებული კონტრაქტებიდან და საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან (PPP) მომდინარე ფისკალური რისკები“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აუდიტორების შეფასებით, 2021 წელს სახელმწიფო საწარმოთა ჯამური მოგება 376 მილიონი ლარი იყო, რაც მთლიანად განპირობებული გახლდათ ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად გამოწვეული კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგებით – 515 მილიონი ლარი. აღსანიშნავია, რომ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, საწარმოთა ნაერთი ფინანსური შედეგი დადებითი მხოლოდ 2019 წელს იყო. სახელმწიფო აუდიტორებს მომდევნო წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით, სხვა რეკომენდაციებიც აქვთ, რაც პარლამენტარებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ:

„საჯარო ფინანსების სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის, საქართველოს კანონმდებლობაში პირობითი ვალდებულებების ცნება განმარტებული არ არის. მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოს პირობითი ვალდებულებების განმარტება, მათი მოცულობის შეფასება და შესაბამის საბიუჯეტო დოკუმენტებში წარმოდგენა; რაც შეეხება ფისკალურ წესებს, ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 2.9%-ის დონეზეა პროგნოზირებული და 2023 წელს, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დაწესებული 3%-იანი ლიმიტის ფარგლებში ბრუნდება; ორგანული კანონით განსაზღვრული 60%-იანი ლიმიტის ფარგლებშია პროგნოზირებული ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელიც, რომელიც 39.4%-ს უტოლდება. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული მონაცემი არ მოიცავს სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებებს, რომლის ჩათვლით, მაჩვენებელი 39.7%-მდე იზრდება“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორების შეფასებით, საყურადღებოა, რომ ბოლო წლებში, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი მთავრობის საგარეო ვალში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, 47%-ს შეადგენს (2018 წელს, 41% იყო). ვალის პორტფელში აღნიშნული ტიპის სესხების მაღალი წილი, მონეტარული პოლიტიკის გლობალური გამკაცრების პირობებში, ვალის მომსახურების (პროცენტის) ხარჯის ზრდას იწვევს. მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილი პროგნოზებით, მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯი (პროცენტის ხარჯი) 398 მილიონი ლარით იზრდება. საპროცენტო ხარჯების მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება საშუალოვადიან პერიოდშიც:

„აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ვალის მართვის სტრატეგიით განისაზღვროს ვალის მომსახურების ხარჯების შეფასების ინდიკატორები, ზღვრული მაჩვენებლები აღნიშნულ ინდიკატორებთან მიმართებით და სტრატეგიაში მოცემული მიზნობრივი მაჩვენებლების პოტენციური გავლენა ამ ინდიკატორებზე. სახელმწიფო ბიუჯეტში განსაზღვრული ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების შემთხვევაში, შეინიშნება სხვაობა

დასასრული მე-6 გვერდზე

28 ოქტომბრის არჩევნების სისხლიანი პრელუდია

ივანო პავლიაშვილი



რატომ მოიცილა საბჭოთა „კა გე ბე“-მ მერაბ კოსტავა – ბორითის ტრაგედიის 33-წლიანი საიდუმლო

ზუსტად 32 წლის წინ, 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა. მაშინ ამ არჩევნებზე მთელი ერი დიდ იმედს ამყარებდა და, მინიმუმ, იმას მაინც ვარაუდობდა, რომ მრავალპარტიული არჩევნები საბჭოთა დიქტატურას დაამხობდა. მართლაც, ასე მოხდა, თუმცა მრავალპარტიულობა, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილებმა, ჩვენებურად გავიგეთ და დღეს ჩვენს ქვეყანაში, ალბათ, ორასი პარტია მაინც არსებობს ანუ ხუმრობენ ხოლმე, ვინც სამსახურს ვერ შოულობს, პარტიას ქმნისო. ხუმრობა იქით იყოს და, დემოკრატიის სიომ საქართველოში ბევრი უბედურება მოიტანა, რაც ალბათ, ლოგიკურიც იყო – სახეშეცვლილ ბოლშევიკებს ხელისუფლება არ ეთმობოდათ და ამიტომ, ყოველნაირ ბოროტებაზე აწერდნენ ხელს. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტება კი ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას ლიკვიდაცია იყო. მართალია, კოტავას გარდაცვალების მიზეზად, ოფიციალურად, ავტოსაგზაო შემთხვევა დასახელდა, მაგრამ 33 წელია, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერი მიზანმიმართულად მოიშორეს, თან მოიშორეს მაშინ, როცა პირველი მრავალპარტიული არჩევნები კარს იყო მომდგარი ანუ უბედური შემთხვევა 28 ოქტომბრის არჩევნებამდე ზუსტად ერთი წლით ადრე, 1989 წლის 13 ოქტომბერს, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითთან მოხდა. ავტოავარიის საბაბ-მიზეზი – არც მეტი, არც ნაკლები – ხბო გახდა და სწორედ ამის გათვალისწინებით, სკეპტიკოსები, ალბათ, იტყვიან, მკვლელობა რა შუაშია; რა, მკვლელობის დამგეგმავ-შემკვეთებმა პირუტყვი ისე „გაწვრთნეს“ და დაარიგეს, რომ ბორითის ტრასაზე სწორედ მაშინ გახიდულიყო, როცა იქ „ნივა“ გამოჩნდებოდაო?! ეს არგუმენტი, ერთი შეხედვით, ალოგიკური არაა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ: მართალია, სულს ღაფავდა, მაგრამ 1989 წელს, საბჭოთა კავშირი, ყოველ შემთხვევაში, მისი უშიშროების სამსახური ჯერ კიდევ „ერთ მუშტად იყო შეკრული“. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ წითელმა მონსტრებმა ყველაფერი ისე მოაწყვეს, მომხდარს უბედური შემთხვევის ელფერი ჰქონოდა და არა – შეკვეთილი მკვლელობის!.. 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნებიდან 32 წლის შემდეგ, „ვერსია“ მერაბ კოსტავას იდუმალებით მოცულ გარდაცვალებას მიზანმიმართულად იხსენებს, რადგან წეღანდელი თქმისა არ იყოს, პასუხგაუცემელი კითხვა ბევრია და იმის განცდაც არსებობს, მერაბი ცოცხალი რომ ყოფილიყო, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია, შესაძლოა, ამდენი სისხლით არ დაწერილიყო.

მაშ ასე: როგორ დაიგეგმა 1989 წლის 13 ოქტომბრის ტრაგედია? – „ვერსია“, ტრადიციულად, პირად არქივსა და ინტერნეტმედიაში გავრცელებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრაგედიის X-ფაილს ადგენს, ტრაგედიისას, რომლის საიდუმლოც 33 წელია, არ გაშიფრულა და რომელმა ტრაგედიამაც საქართველოს უახლესი ისტორია ყირაზე დააყენა!

„კა გე ბე“-ს გამქრალი არქივი

საერთოდ, მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოში არაერთი პოლიტიკური მკვლელობა მოხდა. საბჭოთა სპეცსამსახურებმა განსაკუთრებული ნადირობა ეროვნული მოძრაობის ლიდერებზე დაიწყეს და თავდაპირველად მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე მოიშორეს, მერე – ზვიად გამსახურდია და გია ჭანტურია... არსებობს მოსაზრება, რომ პოლიტიკური მკვლელობების გახსნა ანუ ნამდვილი შემკვეთის დადგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია... პრინციპში, ასეცაა, რადგან ორ ათეულ წელზე მეტია, იგივე, მერაბ კოსტავას გარდაცვალება ბურუსითაა მოცული... როგორ გეგმავს სპეცსამსახურები მკვლელობებს? – ეს კითხვა რამდენიმე წლის წინ სპეცსამსახურის ყოფილ თანამშრომელს დავუსვი და იქვე ჩავეკითხე, გჯერათ, რომ მერაბ კოსტავა უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა-მეთქი? მახსოვს, თანამოსაუბრემ ორაზროვნად შემომხედა და ხანმოკლე პაუზის შემდეგ, მომიგო:

„მერაბ კოსტავა ეროვნული მოძრაობის შემკვრელი და სულისჩამდგმელი იყო ანუ იმის თქმა მინდა, რომ ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა და ასაკოვან თაობას ერთმანეთთან აკავშირებდა. ამიტომაც, პირველად, სწორედ მერაბი მოიცილეს“.

მერაბ კოსტავას მოცილების ვერსია მოგვიანებით ანუ მას შემდეგ უფრო გამყარდა, როცა ზვიად გამსახურდიაც გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ისე, მერაბისა და ზვიადის სიკვდილს შორის, შეიძლება, პირდაპირი კავშირი არ არსებობს, მაგრამ ეს ორი ტრაგედია ერთმანეთს რაღაცით ჰგავს. ამიტომაც, უშიშროების ყოფილი მაღალჩინოსანი, რომლის ინტერვიუც ჩემს პირად არქივში ინახება, ბორითის ტრაგედიიდან, პირდაპირ, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებაზე გადავიდა. ამასთან, მახსოვს, საუბრისას რუსეთის აგენტებიც ახსენა, ლუსტრაციის კანონიც და ამ კონტექსტში ბევრი საინტერესო მინიშნება გააკეთა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, გთავაზობთ სკანდალურ ამონარიდებს ამ ინტერვიუდან:

„– 1990 წლის მიწურულს, როცა კოსტავა ავტოკატასტროფაში დაიღუპა, საბჭოთა კავშირი უკვე სულს ღაფავდა...

– ესეც „კა გე ბე“-ს გეგმა იყო... როგორ გგონიათ, საბჭოთა კავშირი „კა გე ბე“-ს გარეშე დაიშალა? სხვათა შორის, გახრწნის პროცესი, სწორედ საბჭოთა უშიშროებაში დაიწყო.

– ეს, როგორ?

– როგორც კი, ეროვნული მოძრაობები გააქტიურდა, ეროვნული მოტივები „კა გე ბე“-ს თანამშრომლებშიც გაჩნდა. ამიტომ, სისტემა ისეთი მძლავრი აღარ იყო, რომ საბჭოთა კავშირის იდეოლოგია უზრუნველეყო!..

საერთოდ, საბჭოთა კავშირი ნაციონალური სახელმწიფოების ნაკრები იყო, რომლის ნაციონალური პოლიტიკაც სტალინს ებარა. სხვათა შორის, ლენინმა თავის დროზე თქვა, რუსი ბიუროკრატი „პადლეცია“ და „ნასიდნიკიაო“... მოკლედ, მართალია, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში ეწერა, რომ კავშირიდან გასვლის უფლება ნებისმიერ რესპუბლიკას ჰქონდა, მაგრამ ეს კონსტიტუცია ე.წ. „საბჭოთა ერების“ უფლებებს არ იცავდა. საბჭოთა კავშირი ძალადობრივ დიქტატურაზე დამყარებული სახელმწიფო იყო, რომლის იდეოლოგიაც სტალინის რეჟიმმა განამტკიცა. ყველაფერ ამის სულისჩამდგმელი, სამწუხაროდ, ქართველი, უფრო სწორად, ბოროტი ქართველი იყო – იმაზე დიდი ბოროტება რაღა უნდა იყოს, რომ 1921 წელს, საქართველოს მენშევიკური მთავრობა, სწორედ ქართველებმა დაამხეს და რუსულ მე-11 არმიას საქართველოში შემოუძღვნენ?! სამწუხაროდ, ისტორიას ხშირად არ ვიხსენებთ...

ისიც, რაც საქართველოში მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მოხდა, გარკვეულწილად, რენეგატი ქართველების ორგანიზებული იყო... 200 წელია, რუსულ იმპერიას თავი ვერა და ვერ დავაღწიეთ...

– თუ იცით, „ბორითის ოპერაციაში“ ანუ მერაბ კოსტავას ლიკვიდაციაში კონკრეტულად ვინ მონაწილეობდა?

– ეს არ ვიცი, რადგან მაშინ უშიშროებაში არ ვმუშაობდი.

– შეიძლება, მაგრამ სპეცსამსახურში არქივი ხომ დაგხვდათ?

– არქივში ასეთი ინფორმაცია, როგორც წესი, არ ინახება, თან არქივის დიდი ნაწილი საქართველოდან იქამდე გაიტანეს, ვიდრე დამოუკიდებლობა აღდგებოდა.

– ანუ, კომუნისტებმა თადარიგი დაიჭირეს და არქივი ხელისუფლებაში „მრგვალი მაგიდის“ მოსვლამდე გადამალეს?

– დიახ, „მრგვალ მაგიდას“ უშიშროებაში, პრაქტიკულად, ცარიელი ადგილები დახვდა. რუსებმა, პირველ რიგში, აგენტურული და პირადი საქმეები გაიტანეს. ის მცირეოდენი კარტოთეკა კი, რაც დატოვეს, მათ ხელში აღმოჩნდა, რომლებიც ეროვნული მოძრაობის სათავეებთან იდგნენ. ჩემი ინფორმაციით, ყველაფერ ამაზე ელიზბარ ჯაველიძემ უნდა იცოდეს... ისე, „კა გე ბე“-ს არქივები საქართველოდან ორმა ქართველმა გაიტანა, აქედან ერთი გარდაცვლილია... არქივი სმოლენსკში წაიღეს... საქართველოში ლუსტრაციის კანონის მიღება შეუძლებელი სწორედ იმიტომაა, რომ არქივი აღარ არსებობს – თუ დოკუმენტები არ არსებობს, მხოლოდ ლუსტრაციის კანონით საბჭოთა აგენტურის გამოვლენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია...

– ...ლუსტრაციის კანონის არმიღებით საქართველომ რა დაკარგა?

– რა, და, საბჭოთა „კა გე ბე“-ს ე.წ. ოპერატიულმა წყაროებმა ხელისუფლების ყველა ეშელონში შეაღწიეს, გავლენის აგენტები გახდნენ და რუსეთის ფედერაციის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებენ...

ლუსტრაციაზე საუბრისას, გასათვალისწინებელია ის რისკ-ჯგუფები, რომლებზეც ოპერატიული მეთვალყურეობა დღესაც უნდა წარმოებდეს. ასეთი აგენტურა, შესაძლოა, რამდენიმე ჯგუფად დავყოთ: 1. ყოფილი საბჭოთა კავშირის სუკ-ის მესამე მთავარი

დასასრული მე-4 გვერდზე

28 ოქტომბრის არჩევნების სისხლიანი პრელუდია

მე-3 გვერდიდან

სამმართველოსა („ასობი ატდელი“) და „გე რე უ“-ს აგენტურული აპარატი; 2.ყოფილი საბჭოთა კავშირის სუკ-ის პირველი სამმართველოს (დაზვერვა) და ე.წ. „პე გე უ“-ს აგენტურული აპარატი, რომელიც როგორც წესი, საზღვარგარეთ, საბჭოთა მოქალაქეების გამგზავრებისას გამოიყენებოდა; 3. „კა გე ბე“-ს მიერ, მე-20 საუკუნის 80-იანი წლების შემდგომ გადაბირებულები; 4. სამეცნიერო წრეებიდან გადაბირებული აგენტურული აპარატი; 5. საბჭოთა სუკ-ის ე.წ. „მე-5 სამმართველოს“ ანუ იდეოლოგიური კონტრდაზვერვის აგენტურული აპარატი. ამასთან, მნიშვნელოვანია საბჭოთა მენტალიტეტის მატარებელი რისკ-ჯგუფებიც – „კა გე ბე“-ს ყოფილი თანამშრომლები, პარტიული და საბჭოთა ნომენკლატურა, ე.წ. საბჭოთა ინტელიგენცია... პირველი რისკ-ჯგუფის გამოვლენა შეუძლებელია, სხვა ჯგუფების ლუსტრირება კი, ნაწილობრივაა შესაძლებელი. ამასთან, ქართული ძალოვანი უწყებები ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათავისუფლდნენ „კა გე ბე“-ს ოფიცრებისგან...

რუსეთის დღევანდელი სპეცსამსახურების, კერძოდ, იდეოლოგიური კონტრდაზვერვის ყურადღების ცენტრში მუდამ იქნება საბჭოთა მენტალიტეტის რისკ-ჯგუფი ანუ ე.წ. საბჭოთა ინტელიგენცია, რომლითაც საქართველოში რუსული იდეოლოგიის შენარჩუნებას ცდილობენ.

დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი საქართველოდან გატანილ უშიშროების არქივებს არ დააბრუნებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლუსტრაციის კანონის მიღება ისტორიული აუცილებლობაა. სხვათა შორის, ლუსტრაცია ერთჯერადი აქტი არაა, ის მუდმივი პროცესია, რომელიც საქართველოს სპეცსამსახურების მუშაობაზეა დამოკიდებული“...

მკვლელი ხბო თუ საბურავი?

მოკლედ, თუკი სიღრმეში წავალთ, გაჩნდება გონივრული ეჭვი, რომ საბჭოთა სპეცსამსახურები მერაბ კოსტავას იმთავითვე „გამორჩეულად“ ვერ იტანდნენ. ცხადია, „ვერსია“ იმას არ ამბობს, რომ ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებს წითელი მმართველობა ხელისგულზე ერბო-კვერცხს უწვავდა, მაგრამ კომუნისტებმა მხოლოდ მერაბ კოსტავა და ირაკლი წერეთელი გააციმბირეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ანუ როგორც ჩანს, ლენინის სულიერი შვილები იმედოვნებდნენ, რომ კოსტავა ციმბირის კლიმატს ვერ გაუძლებდა და სულს განუტევებდა, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაბადებული ეროვნული გმირი სისხლისფერ დემონებს არ დანებდა და, მართალია, ჯანმრთელობაშერყეული, მაგრამ სამშობლოში მაინც დაბრუნდა. საერთოდ, ისინი, რომლებსაც 70-80-იანი წლების ეროვნული მოძრაობა კარგად ახსოვთ, მინიმუმ, პირად საუბრებში არ მალავენ, რომ მერაბ კოსტავა კლასიკოსის ვაჟს აბალანსებდა. არადა, იმისთვის, რომ ეროვნულ მოძრაობას სახელი გასტეხოდა, ექსცენტრიულობა იყო საჭირო. მაშასადამე, პოლიტიკური ღმერთები და პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილი ანგელოზები ხვდებოდნენ, რომ სანამ კოსტავა ცოცხალი იქნებოდა, მიზანი საშუალებას ვერ გაამართლებდა ანუ ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაცია ვერ მოხერხდებოდა. აქედან გამომდინარე, მძაფრდება გონივრული ეჭვი, რომ ის, რაც 1989 წლის 13 ოქტომბერს, ბორითში მოხდა, დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. ამ ვერსიას, პირდაპირ თუ ირიბად, თამარ ჩხეიძეც იზიარებს. სხვათა შორის, 1989 წლის 13 ოქტომბერს, ესე იგი, ტრაგედიის დღეს, ავტომანქანას სწორედ თამარ ჩხეიძე მართავდა. ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც 2013 წლით თარიღდება, ნათქვამია:

„თამარ ჩხეიძის აზრით, რაღაც ეტაპზე, მერაბ კოსტავა ხელშემშლელ ფიგურად იქცა იმ სცენარის განხორციელებისთვის, რაც დაგეგმილი იყო. სცენარი კი სწორედ ისე დაგეგმეს, რაც შემდგომში განხორციელდა – ქართული პოლიტიკის სრულიად არასწორი მიმართულებით წარმართვა, ჩვენი ერის კონფლიქტებში ჩათრევა, ქართული საზოგადოების შიგნით სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივება, პროცესების არარეალისტურად წარმართვა. ამას კი განსაკუთრებით ორი

ზუიად გამსახურდია არჩევნებში მონაწილეობს

ადამიანი უშლიდა ხელს – მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე (ბორითის ტრაგედიის შედეგად, 1989 წლის დეკემბერში, ზურაბ ჭავჭავაძეც გარდაიცვალა – ვ.პ.).

ამასთან, თამარ ჩხეიძე ფიქრობს, რომ რა ეტაპზეც ზვიად გამსახურდიამ მათ მიერ გათვალისწინებული სცენარისთვის საკუთარი თავი ამოწურა, ისიც მოკლეს.

მართალია, მერაბ კოსტავას დაღუპვასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე, გამოძიების დონეზე არ არის გარკვეული, იმ ტრაგიკულ გზაზე საბურავი გამოვარდა თუ ხბომ გადაირბინა, მაგრამ თამარ ჩხეიძის თქმით, საამისო ფოტომასალაც არსებობს, რომ საეჭვო საგანი სწორედ შავი საბურავი იყო, რამაც ავარია გამოიწვია.

„სავსებით შეეძლოთ, სამუხრუჭე სისტემა ხელოვნურად გაეფუჭებინათ, რათა მანქანა ვერ შემეჩერებინა. მანამდე, ჩვენ ქუთაისის ერთ-ერთ შენობაში ვიყავით შესულნი და იმ დროს ეს თავისუფლად შეეძლოთ გაეკეთებინათ. სხვათა შორის, მერაბი ელოდა მსგავს სცენარს იმპერიული ძალისგან, მუდმივად ჰქონდა იმის შეგრძნება, რომ მის წინააღმდეგ რაღაც მზადდებოდა, ნემსის გაკეთებასაც ამიტომ უწევდა წინააღმდეგობას. ლაპარაკის საშუალება აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც წინააღმდეგობას სწევდა. ზურაბ ჭავჭავაძეც თავისით არ დაიღუპა, ის უკვე გამოჯანმრთელების გზაზე იყო და სრულიად ხელოვნურად შეყარეს ჰეპატიტის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც სწორედ სისხლით გადადის“, – აცხადებს თამარ ჩხეიძე.

ტრაგედია უგმიროდ

1977 წელს, ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის, მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია დააპატიმრეს. პატიმრობის სამი წელი მერაბმა პერმში გაატარა... გათავისუფლებამდე რამდენიმე თვით ადრე, პროვოკაცია მოუწყვეს, 5 წელი დაუმატეს და, როგორც „ხულიგანი“, ციმბირში (ტაიშეტის ოლქი, სოფელი კვიტოკი) გაამწესეს... სწორედ ამ დროს, 1985 წელს, მერაბ კოსტავას ვაჟი, 25 წლის ირაკლი საეჭვო ვითარებაში იღუპება. მერაბ კოსტავა პატიმრობიდან 1987 წელს თავისუფლდება. მის საქართველოში დაბრუნებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთება მოჰყვება.

„1978 წლის 14 აპრილს, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინ, დედაენასთან დაკავშირებით ახალგაზრდობა რომ გამოვიდა, პირველად მაშინ დავინახე პლაკატი – „თავისუფლება ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას!“ ხალხი კითხულობდა, ვინ არის მერაბ კოსტავა, რატომ თავისუფლება, დაპატიმრებულია?“ მოგვიანებით გავიგე, რომ სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ხეზე ავიდნენ და ეს პლაკატი ისე აღმართეს. ათწლიანი პატიმრობიდან სამშობლოში მერაბი ძალიან თავისუფალი, ლაღი დაბრუნდა. ეტყობოდა, რომ ძალიან ბევრი ჰქონდა ნაფიქრი ყველაფერ იმაზე, რაზეც მანამდეც წერდა. გარშემომყოფებს არასდროს ახვევდა ვაჟიშვილის გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს“, – იხსენებს ციცინო მაღლაფერიძე...

სხვათა შორის, 1987 წელს, გადასახლებიდან ახლადდაბრუნებული მერაბ კოსტავას ინიციატივით, თბილისში, ახალგაზრდების ჯგუფმა 26 მაისი ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა. მერე, წლები რომ გავა, ციცინო მაღლაფერიძე ამ დღეს ასე გაიხსენებს: **„ჯავახიშვილის #1-ში (ამჟამად, ზანდუკელის ქუჩა), მერაბის ეზოში 30-მდე ახალგაზრდა შეიკრიბა. მცირერიცხოვანი, მაგრამ პირველი მიტინგი ჩატარდა. ჩვენთვის ეს მაშინ სიახლე იყო. მერაბმა, სიტყვით გამოსვლისას, ამ დღის მნიშვნელობა ახსნა და დაკარგული დამოუკიდებლობის დაბრუნებისთვის ბრძოლაზე ისაუბრა. შემდეგ თავისი სახლის სახურავზე სამფეროვანი დროშა აიტანა და დაჰკიდა. დაახლოებით, საათნახევარში მილიციელები მოვიდნენ და მერაბს დროშის ჩამოღება მოსთხოვეს. რა თქმა უნდა, უარი მიიღეს. მერე დროშა თავად მილიციელებმა ჩამოიღეს, რაზეც მერაბმა ასეთი რამ უთხრა, ცოტა ხანში, მთელ საქართველოში, ყველა სახლის სახურავზე ეს დროშა იქნება აღმართულიო. ამის შემდეგ მერაბმა თქვა, სიონისკენ წავიდეთო და რუსთაველს გავუყევით, ჩვეულებრივად, ტროტუარზე მივდიოდით. მერაბს უკვე სცნობდნენ და გზადაგზა ახალგაზრდები გვიერთდებოდნენ. ლესელიძის ქუჩასთან მილიციის კორდონი დაგვხვდა, სიონისკენ ჩასვლის საშუალებას არ გვაძლევდა, მაგრამ კორდონი გავარღვიეთ და გზა გავაგრძელეთ. სიონთან ახლოს, სანაპიროზე გაჩერების საშუალება არ მოგვცეს, რადგან უკვე 500-მდე ვიყავით და იცოდნენ, რომ იქ ხალხი შემოგვემატებოდა. გვითხრეს, „ბერიკონში“ შედით და მიტინგი იქ ჩაატარეთო... იმ საღამოს სუფრა ვაჟა ადამიას სახლში გაიშალა და მერაბის დაბადების დღე ერთად აღნიშნეს“.**

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობისა და საკუთარი დაბადების დღე, მერაბ კოსტავამ ბოლოს 1989 წელს აღნიშნა: როგორც თვითმხილველები ამბობენ, იმ დღეს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ, მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა. მანამდე კი, მერაბს ნარიყალაზე სამფეროვანი დროშა აუტანია.

1989 წლის 26 მაისს, მერაბ კოსტავა 50 წლის გახდა... იმ დღეს მერაბმა ერთი უცნაური საჩუქარი მიიღო – ხის გადაჭრილი ტოტი, რომელზეც 50 სანთელი ენთო... იმ სანთლებთან ერთად, მერაბ კოსტავაც სიცოცხლეც ჩაიწვა...

და მაინც, რა მოხდა 1989 წლის 13 ოქტომბერს, ბორითთან? – ესაა კითხვა, რომელსაც პასუხი ტრაგედიიდან 33 წლის მერეც არ გასცემია... ისე, ამ 33 წლის განმავლობაში, საქართველომ ათასი უბედურება გადაიტანა... რამდენიმე ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ... სამწუხაროდ, ერთსაც არ მოსვლია აზრად, რომ ბორითის ტრაგედია ხელახლა გამოეძიებინა.

რატომ? – ალბათ, იმიტომ, რომ ბორითის საიდუმლოს გაშიფვრა ბევრ რამეს ყირაზე დააყენებს...

ვისთვისაა სააკაშვილი „ოქროს კვერცხის მდებელი დედალი“

რატომ მოსწონს ჯონდი ბაღათურიას რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

საპარლამენტო ოპოზიციას ბოლო დროს ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა არა ხელისუფლების, არამედ, ოპოზიციის რიგებში. ქვეყანაში პოლიტიკური პროცესის არასწორად წარმართვაში არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები, მმართველ ძალასთან ერთად, იმ ოპოზიციონერებსაც აკრიტიკებენ, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოში სადეპუტატო მანდატებს ფლობენ. სწორედ ოპოზიციის კრიტიკით დაიწყო საუბარი „ვერსიასთან“ პარტია „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ, რომელიც მიიჩნევს, რომ საპარლამენტო ოპოზიცია ქვეყნის საწინააღმდეგოდ მოქმედებს:

– პარლამენტი არ მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს, აცდენილია სახელმწიფოს ინტერესებს და დეპუტატები, ძირითადად, დაკავებულნი არიან თეატრალური ისტერიკის ჩვენებით ეკრანზე, ეკრანს მიღმა კი კორუფციით, წილების გაყოფით და ა.შ. სიტყვა „ოპოზიცია“ საერთოდ შეუსაბამოა პარლამენტში მყოფი დეპუტატების აბსოლუტური უმრავლესობისთვის, რომლებიც სრულიად სამარცხვინოდ იქცევიან. ყველა მათი განცხადება ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაზე, სრულიად სამარცხვინოა და ფსკერს ქვემოთაა. აშკარად იგრძნობა ინტელექტუალური და მორალურ-ზნეობრივი სიღატაკე. მტრულ განცხადებებს აკეთებენ ქვეყნის წინააღმდეგ და მათი ძირითადი ნაწილი დაინტერესებული და ჩართულია, რომ ქვეყანა ჩაითრიონ ომში რუსეთთან. ხელისუფლების ბოლოდროინდელი საქციელი, მხოლოდ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთთან ომის თავიდან აცილებას ეხება, ნამდვილად პასუხისმგებლიანია. ეს ნაწილი სწორი იყო და მადლობა ღმერთს, რომ დღეს თბილისი არ იბომბება, დახლებზე პურია და საწვავიც გვაქვს, ეს ნამდვილად მათი დამსახურებაა, ამას ვაფასებ.

– ბატონო ჯონდი, როგორც ჩანს, საკანონმდებლო ორგანოში მყოფ ყველა ოპოზიციურ პარტიას „ერთ ქვაბში ხარშავთ“... თქვენ რომ იყოთ მათ ადგილას, რას გააკეთებდით?

– გამოვიდა, რომ ყველა პარტია „ერთ ქვაბში მოვხარშე“, მაგრამ ყველა ადამიანს ნამდვილად – არა... პარტიების სახელებშია პირობითი სხვაობა, თორემ რეალურად, სააკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ შეიწოვა თითოეული მათგანი, მთელი ე.წ. ოპოზიცია. ისინი ნაცმოძრაობის „ნამსხვრევები“ არიან, რომლებმაც ჩათვალეს, რომ მიშას გარეშე უფრო ხეირიანად შეიძლება ვაჭრობა ხელისუფლებასთან და რომ ვერ ივაჭრეს, ისევ მიშას ჩრდილქვეშ არიან. მიშამ შეისრუტა მის პარტიაში მყოფი ოპოზიციაც კი, რომელთაგანაც იყო მცდელობა, ის ჩაეჩოჩებინათ და მართვადი მიშა შეექმნათ... ისინიც „ჩაყლაპა“ მიშამ. ისინი ვერ შედგნენ დამოუკიდებელ, მიშას გარეშე არსებულ ფიგურებად და ამაში ხელს უწყობდა ხელისუფლებაც და დასავლეთიც, რადგან დასავლეთი გრძნობს, მიშას კი უჭირავს სტაბილური რეიტინგი, მაგრამ „ჭერია“, რომლის ზემოთაც ვერ ადის. არადა, დასავლეთის ტოტალიტარულ-ლიბერალური, ფსევდოლიბერალური პარტია, რომელსაც ბაიდენი ხელმძღვანელობს, ხედავს, რომ აქ სჭირდება უფრო აგრესიული პროდასავლური ძალა. „ოცნება“ არის პროდასავლური ძალა და მის ნებისმიერ სურვილებს ასრულებდა აქამდე, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ამ ეტაპზე, მათ სჭირდებათ აგრესიული, ლიბერალური, დასავლეთისგან მართული ძალა, რომელიც ქვეყანას ომში შეიყვანდა რუსეთთან. მათ ასეთი კონცეფცია აქვთ – რაც უფრო მეტი ცხელი წერტილი გაიხსნება რუსეთისა და ჩინეთის ირგვლივ, ეს გამოიწვევს ამ ქვეყნების სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსების გაფანტვას. ეს თეორიულად, შეიძლება, დამაჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში სასაცილოა, რადგან საქართველოს არ შესწევს ძალა, რამენაირად გამოიწვიოს რუსეთის რესურსების გაფანტვა. ჯარების შემოყვანაც არ დასჭირდება რუსეთს, ჩრდილო კავკასიაში განლაგებული სარაკეტო სისტემებით შეუძლია, ნებისმიერ წერტილს მიწვდეს და გაანადგუროს. აქ დასავლეთის მითითებებითა და დიქტატითაა სწორედ ის, რომ ჩვენ არმია არ გვყავს, 25 000– მდე შეამცირეს და გვაიძულეს, რომ არ გვქონოდა ტექნოლოგიები, გვქონოდა სუსტი და მართვადი სახელმწიფო.

– ბატონო ჯონდი, დასავლეთი და ნატო მუდმივ მხარდაჭერას უცხადებენ საქართველოს თავდაცვის ძალებს, რაც გამოიხატება ფინანსურ დახმარებასა თუ წვრთნა-მომზადებაში.

– არასწორ ინფორმაციას ფლობთ.

– მე იმ ინფორმაციას ვფლობ, რაც საჯაროდ ვრცელდება, ბატონო ჯონდი.

– ფინანსური დახმარების სახით, ბოლო 30 წლის განმავლობაში, საქართველოს დასავლეთისგან 2.5 მილიარდი აქვს მიღებული. ისრაელი კი მხოლოდ სამხედრო ხარჯებისთვის 5 მილიარდს იღებს დასავლეთისგან. ამ 2.5 მილიარდის 80% დახარჯულია არა სამხედრო ან ეკონომიკურ პრობლემებზე, არამედ, ლგბტ თემის ლობირებაზე ან ე.წ. ენჯეოშნიკების დაფინანსებაზე.

თემას დავუბრუნდები – დასავლეთს ახლა საქართველოში სჭირდება აგრესიული ძალა, რომელიც კონფლიქტში შეიყვანს ქვეყანას და ასეთ ძალად მიაჩნიათ ნაცმოძრაობა. არადა ხედავენ, რომ მიშას რეიტინგი არ იზრდება, ამიტომ ჯერ წამოსწიეს შედარებით სერიოზული კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში, გრიგოლ ვაშაძე, რომელმაც სერიოზული შედეგი აჩვენა. შემდეგაც ცდილობდნენ რაღაცების გაკეთებას, მაგრამ არ გამოუვიდათ. ეს ხელისუფლებასაც ხელს აძლევდა და ხელისუფლება იღებდა ამაში მონაწილეობას, პარტიის შიგნით ფიგურების დაწინაურებაში... მაგრამ „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“. როცა ადამიანი ხოხვისთვისაა დაბადებული, ვერ იფრენს და მიშა ახლა დაფრინავს, ხომ ხედავთ...

– მიხეილ სააკაშვილი არაერთხელ ახსენეთ და შეგახსენებთ, მისმა ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ის დისტანცირდება ქართული პოლიტიკიდან.

– ეტყობა, თქვენ მიშას არ იცნობთ...

– ზუსტად ეს მითხრა კახა კუკავამაც... დიახ, არ ვიცნობ პირადად...

– მიშას მე ვიცნობ 90-იანი წლებიდან, როცა გამოჩნდა პოლიტიკაში. მეც იმ დროს ვიწყებდი პოლიტიკის კეთებას და ძალიან კარგად ვიცნობდი, მუდმივ დაპირისპირებაში ვიყავი, მენტალური დაპირისპირება მქონდა. კარგად ვიცი მისი ბუნება, მიშას არ შეუძლია აქტივობის გარეშე, მაგრამ მისი აქტივობა ყოველთვის უნდა იყოს ნეგატიური. ნეგატივის გარეშე კვდება, იჩუტება... მისი აქტივობა უნდა იყოს აგრესიული და ვიღაცის წინააღმდეგ მიმართული. ერთი პერიოდი, როცა გაანადგურა ოპოზიცია, საკუთარ თავს უწევდა ოპონირებას. მას აგრესიის გარეშე არ შეუძლია, ასეთი ტიპია და რა ქართული პოლიტიკიდან ჩამოშორებაზეა საუბარი? ბევრს ვლაპარაკობთ მიშაზე და არ იმსახურებს ამას...

– თქვენ მიგაჩნიათ, რომ ლიბერალურზე მეტად, კონსერვატიული ძალები მოსწონს ქართველ ხალხს, თუ ასეა, რას აკეთებთ, რომ ძალაუფლება მოიპოვოთ?

– დააკვირდით, ვინ უფრო მეტი გხვდებათ – ადამიანური ღირებულებების მატარებელი ადამიანები, რომელთაც ოჯახი უყვართ, ფიქრობენ, რომ კაცს ქალი უნდა მოჰყავდეს ცოლად... ასეთი ხომ 99%-ია საქართველოში? და იმ 1%-ს ვხედავთ პარლამენტში ახლა.

ერთხელ ვთქვი, მიშა ივანიშვილისთვის „ოქროს კვერცხის მდებელი დედალია“-მეთქი. „ქართულ ოცნებას“ არ სჭირდება რამე სერიოზული საარჩევნო კამპანიის ჩატარება, მთავარია, გააქტიურდეს ნაციონალური მოძრაობა და მიშა. იმდენად დიდია ზიზღი ქართულ საზოგადოებაში და შიში მისი დაბრუნებისა, რომ ყველაფერს პატიობს ხალხი ხელისუფლებას. პატიობს იმას, რომ აქამდე არ გვქონდა სწორი საგარეო პოლიტიკა, არ გვაქვს სოციალური პოლიტიკა; არ ტარდება ჯანდაცვის, საპენსიო, ეკონომიკური რეფორმები; პროექტები არ იქმნება, რომ სოფლის მეურნეობა იყოს მთავარი მდგენელი ჩვენი ეკონომიკისა. ცარიელ მაცივარს პატიობს ხალხი ხელისუფლებას, ოღონდ მიშა არ მოვიდეს.

– სწორედ იმ პოლარიზებაზე საუბრობთ, რომელიც საქართველოსთვის გადაცემულ 12-პუნქტიან გეგმაში შეიტანა ევროკავშირმა. პოლარიზაციის დასრულების ერთ-ერთი აქტორი უნდა იყოს თუ არა ე.წ. შუაშისტური ოპიზიცია, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ?

– პოლარიზაციის დასრულება ნიშნავს, რომ უნდა გაძლიერდეს მესამე ძალა, მაგრამ ეს არ აწყობს ამ ორ მონოპოლისტს: „ოცნებას“ და ენმ-ს მედიასივრცესა და ფინანსურ ნაკადებში. ამიტომ დისკუსია პოლარიზაციის დასრულებაზე წაიყვანეს ერთმანეთთან. ისინი პოლარიზაციით სულდგმულობენ, ამით იკვებება ორივე ძალა.

– ...მოგწონთ, რომ რუსეთიდან შემოდიან მოქალაქეები?

– დიახ.

– რატომ?

– რუსებსა და უკრიანელებს – ამ ორ მოძმე ერს ომი რომ აქვთ ერთმანეთში, ეს ძალიან ცუდია და ეს ჩვენც გავიარეთ. ვებრძოდით ჩვენ და აფხაზები ერთმანეთს...

– ჩვენ და აფხაზები თუ ჩვენ და რუსეთი, ბატონო ჯონდი? არ მიიჩნევთ, რომ მაშინ საქართველოს რუსეთთან ჰქონდა ომი?

– კი. რუსეთთანაც, შეიძლება ასე ითქვას, მაგრამ გვინდა თუ არა, აფხაზებმა და ქართველებმა დავიწყეთ და მივეცით რუსეთს საშუალება, რომ ეს გამოეყენებინათ. იმ მოვლენების მემატიანე ვარ, რომ იცოდეთ და, სამეგრელოშიც რუსებმა გვაიძულეს მეგრელების დარბევა?! ჩვენ ერთმანეთში გავაკეთეთ ეს, ქართველებმა, თბილისის ომი გვქონდა, ბოლო-ბოლო... რუსეთის ხელისუფლებაში ძალიან სერიოზული ფიგურები არიან, რომლებიც განიხილავდნენ იგივე ფორმატით ურთიერთობას საქართველოსთან, რაც უკრაინაში ხდება. საქართველოს ხელისუფლების მოქმედებამ კი განაიარაღა ეს ძალები და მეტი არგუმენტი მისცა იმ პოლიტიკურ ფიგურებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველოსთან შეიძლება სამხედრო ძალისხმევის გარეშე ურთიერთობის დარეგულირება და ახლა რუსის არშემოშვებაზე საუბარი არასწორია. ვერ ვაკავშირებ ოკუპირების თემას ტურისტის შემოსვლა-არშემოსვლასთან. მგონი, ერთადერთი ჭკვიანური, რაც გააკეთა სააკაშვილმა, ეს იყო უვიზო რეჟიმის შემოღება რუსეთთან 2008 წელს და ლარსის გამშვები პუნქტიც სააკაშვილის დროს გაიხსნა, მაგრამ ჩემი ღია და აშკარა ხელშეწყობით. მაშინ შემოვუშვით რუსი ტურისტები, რამაც საქართველოს ეკონომიკასაც ხეირი მისცა და ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

რა შენიშვნები უნდა გაითვალისწინონ დეპუტატებმა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას

მე-2 გვერდიდან

მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის დაფინანსების მოცულობებს შორის. ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვისას, სხვა მიზეზებთან ერთად, მიზანშეწონილია, შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან გათვალისწინებულ იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციები; განმახორციელებელმა უწყებებმა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე უნდა გაითვალისწინონ საინვესტიციო და კაპიტალური პროექტების განხორციელების, ასევე მიმდინარეობის წინარე გამოცდილება და მხოლოდ ამაზე დაყრდნობით უნდა განსაზღვრონ მომდევნო წლისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მოცულობა".

სახელმწიფო აუდიტორების შეფასებითვე, მიუხედავად პროგრესისა, პროგრამული ბიუჯეტი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ბიუჯეტის კანონის ნაწილს და სისტემური ხარვეზებით ხასიათდება. ამიტომ, სახელმწიფო მაკონტრებლების შეფასებით, მიზანშეწონილია, რომ გაგრძელდეს მუშაობა პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების შემდგომ სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით.

„2023 წლის ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად, წარმოდგენილია კიდევ ერთი კანონპროექტი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ასახავს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილ ცვლილებებს. კერძოდ, ცვლილებები ეხება სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის შედეგად, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ერთიან ბიუჯეტში ასახვასა და მათ მოქცევას ხაზინის ერთიან ანგარიშთა სისტემაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განიხილა ინიცირებული ცვლილების პროექტი და ჩვენი შეფასებით, კანონპროექტის დამტკიცებამდე, მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გათვალისწინება: წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებებით ცხადად უნდა იქნეს განმარტებული, რა ფორმით მოხდება სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების გაანგარიშებაში; საბიუჯეტო კოდექსში შესატანი ცვლილებების მასშტაბისა და მათი გავლენის უკეთ შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია, კანონპროექტის განმარტებითი ბარათი მოიცავდეს უფრო დეტალურ სტატისტიკურ ინფორმაციას სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მაჩვენებლებისა და ძირითად ფისკალურ პარამეტრებზე (მაგალითად, ბიუჯეტის დეფიციტი, ვალის წესის მაჩვენებელი) მათი პოტენციური გავლენის შესახებ".

სახელმწიფო აუდიტორების შეფასებითვე, ბიუჯეტის პროექტზე თანდართული „პროგრამული ბიუჯეტის დანართი" მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. სახელმწიფო მაკონტროლებლების განმარტებით, პროგრამული ბიუჯეტის მომზადება 2012 წლიდან დაიწყო, თუმცა ჯერ კიდევ არ მტკიცდება კანონით და მხოლოდ დანართის ხასიათს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესდა პროგრამებისთი ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და დამატებით გაუმჯობესებას.

„2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართის ანალიზისას, გამოვლინდა პროგრამების შემუშავების პროცესში არსებული შემდეგი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები: დანართში წარმოდგენილი 130 პროგრამიდან, 95 პროგრამა ანუ 73.1% არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად. ამასთან, იმ პროგრამების 49.5%-ში (47 პროგრამა), რომელიც არაა წარმოდგენილი ქვეპროგრამების დონეზე, ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული მიმდინარე და მომდევნო წლების მიზნობრივი მაჩვენებლები, რაც ხელს უშლის ამ პროგრამების შუალედურ და საბოლოო შედეგებს შორის ურთიერთკავშირის დადგენას. აღნიშნული საკითხი ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს მიღწეული შედეგების შედარებას მიზნობრივ მაჩვენებლებთან. მსგავსი პროგრამების ასიგნებების ჯამური მოცულობა 3.9 მილიარდი ლარია".

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგების ნაწილს არ გააჩნია კონკრეტული მისაღწევი მიზანი, რაც ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას; პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი ინდიკატორების 24.9%-ის შემთხვევაში, ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენი არ არის, მოყვანილი მონაცემები არარეალისტურია, ან არ შეესაბამება მიზნობრივ მაჩვენებელს. ამასთან, ინდიკატორების 11%-ში, რომელთათვისაც განსაზღვრულია ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები, ცდომილების ალბათობის მაჩვენებელი აღემატება 20%-ს.

„პროგრამული ბიუჯეტირების კუთხით არსებული ნაკლოვანებების ეტაპობრივი გამოსწორებისა და ამ მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და ფორმალურად განისაზღვროს ქვეყანაში პროგრამული ბიუჯეტირების განვითარების სამოქმედო გეგმა, სადაც გაიწერება განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით".

სახელმწიფო აუდიტორების შეფასებით, გარდა დასკვნაში მოცემული შენიშვნებისა, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტი, არსებული დაშვებების საფუძველზე, სათანადოდაა მომზადებული. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად, მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით.

პოლიციამ ქუთაისში სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისა და იძულების ბრალდებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქუთაისში, სხვადასხვა დროს, 1977 წელს დაბადებული დ.ზ. – არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი იძულების ბრალდებით, ხოლო 1988 წელს დაბადებული, გ.რ. – სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისთვის დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დ.ზ.-მ ქუთაისში, გუმათჰესის დასახლებაში, ერთ-ერთი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, არასრულწლოვან გოგონას ავტომობილით დანიშნულების ადგილამდე მიყვანა შესთავაზა, გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ კი მობილური ტელეფონის გადაცემა აიძულა.

სამართალდამცველებმა, კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დ.ზ. დანაშაულის ჩადენიდან მალევე დააკავეს.

რაც შეეხება მეორე ბრალდებულს – გ.რ.-ს, იგი სამართალდამცველებმა ერთ-ერთი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც სკოლის მოსწავლეების მიმართ სექსუალური შინაარსის საუბრებს ახორციელებდა და მათ სასქესო ორგანოებზე ხელით შეხებას სთხოვდა.

სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისა და იძულების ფაქტებზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე და 138-ე მუხლებით.

როგორია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების თვალით დანახული სამყარო

ია გრიგალაშვილი

ექსკლუზიური ინტერვიუ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ქალბატონთან

ცხოვრების არაჯანსაღი წესი, დაძაბულობა, სოციალური პრობლემები, პანდემია თუ ომი ადამიანის ფსიქიკაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს. სამწუხაროდ, ისეთ რეალობაში ვცხოვრობთ, სადაც უარყოფითი ინფორმაცია საკმაოდ დიდი რაოდენობითაა. მსგავსმა ფაქტორებმა, შესაძლოა, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვიოს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ინფორმაციით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა 450 მილიონ ადამიანს აწუხებს. საქართველოში კი ქცევითი აშლილობის 80 ათასამდე შემთხვევაა დაფიქსირებული. ზოგადად, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები მოიცავს ყველაფერს, დაწყებული უბრალო ფობიებით, დამთავრებული – მძიმე დარღვევებით (მაგალითად, შიზოფრენიით). არსებობს მისი განსხვავებული ფორმები და ესა თუ ის გართულება ნებისმიერი სქესის, ასაკის, რასის, გენდერის, ეროვნების, სოციალური სტატუსის თუ სექსუალური ორიენტაციის ადამიანს შეიძლება გამოუვლინდეს. შესაბამისად, დაავადების სიმძიმეც ძალიან ინდივიდუალურია. ზოგი შემთხვევა იმდენად მსუბუქია, რომ ყოველდღიურ ცხოვრებას ხელს არ უშლის, ზოგიერთი კი ისეთი მძიმეა, რომ საქმე ჰოსპიტალიზაციამდე მიდის. მედიცინამ ფსიქიკური დარღვევა დაავადებად მხოლოდ მე-18 საუკუნეში აღიარა. მანამდე კი მსგავსი პრობლემების მქონე ადამიანები საზოგადოებისთვის მიუღებელნი იყვნენ. შუა საუკუნეების ევროპაში სჯეროდათ, რომ ფსიქიკურ ავადმყოფობას დემონური ძალები იწვევდნენ. სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეშიც კი, საზოგადოებას ფსიქიკური აშლილობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს და მის ირგვლივ არაერთი სტერეოტიპი არსებობს.

10 ოქტომბერს, მსოფლიოში ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე აღინიშნა, რომლის ერთ-ერთი მიზანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იყო. სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას განცხადებით, საქართველოში, ფსიქიკური ჯანმრთელობა სახელმწიფოს წინაშე მდგარ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებულ სტიგმებზე, გამკლავების გზებსა და გამოცდილებაზე „ვერსია“ თინათინ შალამბერიძეს ესაუბრა. მას წლების წინ დაუსვეს აღნიშნული დიაგნოზი და ბევრ სირთულესთან მოუწია გამკლავება. თინათინი გვიყვება, თუ როგორია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანების თვალით დანახული სამყარო, როგორ უნდა დავეხმაროთ და რა უნდა გაითვალისწინონ გარშემომყოფებმა.

– თინათინ, რამ გამოიწვია და რა ასაკში დაგეწყოთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები?

– სრულწლოვანი ისე გავხდი, ვერ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე შემექმნებოდა რამე ტიპის ფსიქიკური პრობლემა. კარგად მახსოვს, სკოლის დამამთავრებელ კლასში რომ ვიყავი, ფსიქოლოგი გაგვესაუბრა და გვითხრა, არავინ ვიცით, ვის როდის და რა დაგვემართებაო, ფსიქიკურ დაავადებებს გულისხმობდა. გავიფიქრე, ისეთი მშვიდი ვარ, გამორიცხულია, რამე პრობლემა შემექმნას-მეთქი. არ იყო გასული ორი წელი, რომ დამეწყო საშინელი დეპრესია. მაშინ 18 წლის ვიყავი. ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეორე კურსზე. გარეგანი მიზეზი, რაზეც დამეწყო შფოთვა, იმის შიში იყო, რომ პირველი სემესტრის ბოლოს, ოთხ ძირითად საგანს ვერ ჩავაბარებდი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ტრიგერი, გამშვები მექანიზმი. მთავარი კი იყო უამრავი ფაქტორი, რამაც აქამდე მიმიყვანა.

– ვის მიმართეთ პირველად დასახმარებლად და როგორ გააანალიზეს ეს ფაქტი ოჯახის წევრებმა?

– პირადად მე, არავისთვის მიმიმართავს. მამამ შემატყო გამომეტყველებაზე, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე. მალევე მივმართეთ ფსიქიატრს. ჩემი ოჯახის წევრები თვლიდნენ, რომ ყოველ დაავადებას შესაბამისი სპეციალისტი უნდა მკურნალობდეს და ამიტომ პირდაპირ ფსიქიატრთან წავედით.

– როგორია თქვენი თვალით დანახული ფსიქიკური დიაგნოზის თანხლებით განვლილი გზა?

– ფსიქიატრიული დიაგნოზის თანხლებით გატარებული 23 წლის შემდეგ მივხვდი, რომ მედალს ნამდვილად ორი მხარე აქვს. ერთი მხრივ, ნამდვილად რთული და ძალიან მტკივნეული იყო გზა, რომელიც გავიარე, მაგრამ მეორე მხრივ, უამრავი ადამიანის თანადგომითა და დახმარებით, დღეს სულ სხვა პიროვნება ვარ, ვიდრე 18 წლის ასაკში ვიყავი, როცა პირველად დამეწყო ჩივილები. შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ ვიპოვე საკუთარი თავი, ვარ იმედით სავსე და მჯერა, რომ ჩემს გამოცდილებებზე საჯარო საუბრით მცირე წვლილს მაინც შევიტან ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა და მათი ოჯახის წევრების მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მხოლოდ ესაა ჩემი გულახდილობის ერთადერთი მოტივაცია. ჩართული ვარ სხვადასხვა პროექტში, რომელიც ფსიქიატრიულ პაციენტებს ეხება და ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ სხვებმა არ გაიარონ ის სირთულეები, რაც მე გავიარე. ვისაც საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი ამ დაავადების მიმდინარეობის სიმძიმე, მკურნალობის თავისებურებები, ინსტიტუციებში არსებული სიტუაცია, საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულება და ა.შ., შეგვიძლია, ფაქტებზე დაყრდნობით ვისაუბროთ დარღვევებზე და უფრო ქმედითი, ეფექტიანი ცვლილებები შევთავაზოთ სახელმწიფოსა და ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს.

– საზოგადოების მხიდან რა სტერეოტიპებსა და სტიგმებს აწყდებოდით წლების განმავლობაში?

– 23 წლის წინ, როცა გამომივლინდა პირველი ჩივილები, მეტად მძიმე სიტუაცია იყო ამ მხრივ, ვიდრე ახლაა, თუმცა არასაკმარისი ან არასწორი ინფორმაციის გამო მოსახლეობის დიდ ნაწილში ჯერ კიდევ მყარად აქვს ფესვი გადგმული სხვადასხვა სტერეოტიპულ მოსაზრებას. მე პირადად, ძალიან გამიმართლა, რომ ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ რამდენიმე ადამიანისგან მიგრძვნია გარიყულად თავი, ან უარყოფილი ვყოფილვარ ჩემი დიაგნოზის გამო. ძალიან იშვიათად, მაგრამ უთქვამთ: რას თხოვდებოდი და აჩენდი ბავშვს, თუ გქონდა ფსიქიატრიული დიაგნოზი?! მეც ნადვილად არ ვიფიქრებდი დაოჯახებაზე, ბოლო გამწვავებიდან ყოველგვარი ფსიქოტროპული მედიკამენტის გარეშე, სტაბილურად რომ არ ვყოფილიყავი ხუთი წლის მანძილზე. რეზიდენტ-ექიმსაც კი არ მქონდა ინფორმაცია, რომ სრულად დასაშვებია ორსულობა-მშობიარობის წარმართვა გარკვეული ფსიქოტროპული მედიკამენტების ფონზე. ცნობიერების ამაღლება მთავარი რამაა, რაც დაეხმარება ჩვენს საზოგადოებას დრომოჭმული სტერეოტიპებისა და სტიგმების დავიწყებაში. ჩემს შემთხვევაში, გარემოდან წამოსული სტერეოტიპები არ იყო იმდენად დამაზიანებელი და დამთრგუნველი, როგორც თვითსტიგმატიზაცია. როცა მომენიჭა შშმ პირის სტატუსი და დამენიშნა ე.წ. პენსია, შინაგანად ძალიან ცუდად იმოქმედა ამან ჩემზე. 35 წლის ასაკში, ვერაფრით ვუშვებდი, რომ „პენსიონერი“ გავხდი და არ მქონდა უნარი, საკუთარი შრომით გამომემუშავებინა არსებობისთვის საჭირო თანხა. დიდი დრო და მრავალი ადამიანის დახმარება დამჭირდა, ეს შინაგანად რომ გადამელახა.

ჩემზე ასევე, ნეგატიურად იმოქმედა და გული მეტკინა, როცა ერთ-ერთი გამწვავებისას, ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაყვანის დროს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების თვალებში ჩამდგარი შიში დავინახე. ეს შიში იყო უსაფუძვლო, საერთოდ არ ვიყავი აგრესიული, მაგრამ ის მითი, რომ ფსიქიკურად დაავადებული პაციენტი აგრესიული და ამიტომ საშიშია, მათ თვალებში იკითხებოდა. ისე გამოვიდა, რომ სასწრაფო დახმარების მანქანით გადაყვანისას, მხოლოდ პატრულის თანამშრომელი იჯდა ჩემთან ერთად, ექიმები ისხდნენ მძღოლის გვერდით. მაშინ, რაღა აზრი ჰქონდა სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოცდენას ჩემს გადაყვანაზე? ექიმი ნამდვილად უნდა იყოს პაციენტის გვერდით, როცა ხდება მისი ტრანსპორტირება. საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ერთად შეიძლება იყოს პატრულის თანამშრომელიც.

– როგორც ახსენეთ, შვილი გყავთ, შეგიშალათ თუ არა ხელი ჯანმრთელობის პრობლემამ ორსულობის პერიოდში და როგორი აღმოჩნდა დედობის პასუხისმგებლობა თქვენთვის?

– როდესაც დედა გავხდი, დარწმუნებული ვიყავი,

დასასრული მე-8 გვერდზე

როგორია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების თვალით დანახული სამყარო

მე-7 გვერდიდან

რომ ბიპოლარული აშლილობის დიაგნოზი წარსულს ჩაბარდა. ვერ ვიტყვი, რომ რამე განსაკუთრებული, მშობიარობის შემდგომი სტრესი მქონდა. ამ დროს 28 წლის ვიყავი და დიდი სიხარულით შევხვდი დედობას, მზად ვიყავი ამ ძალიან სასიამოვნო პასუხისმგებლობისთვის. ოჯახის წევრები მეხმარებოდნენ და ვზრდიდი შვილს, მაგრამ არ მივაქციე ყურადღება, რომ ძილისა და დასვენების დეფიციტი, ლაქტაცია ჩემს ფსიქიკაზე ნეგატიურ გავლენას ახდენდა. გადავიღალე, გამოვიფიტე, მკვეთრად დავიკელი წონაში და როცა შვილი იყო ხუთი თვის, შვიდწლიანი სრული რემისიის შემდეგ, დაავადება ისევ გამიმწვავდა. ჩემი მხრიდან დიდი შეცდომა იყო ფსიქიატრიული დიაგნოზის უგულებელყოფა. ახლა ვიცი, რომ რაც უნდა სტაბილური მდგომარეობა მქონდეს, ჩემთვის აუცილებელია შრომის, კვებისა და ძილის რეჟიმის დაცვა. თუ რამე ვალდებულებას ვერ ვუმკლავდები, თავს კი აღარ ვატან ძალას, გარშემომყოფებს ვთხოვ დახმარებას.

– თინათინ, როგორც ვიცი, ბევრ ფსიქიატრიულ კლინიკაში გიმკურნალიათ, საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით იქ არსებულ სიტუაციას და პაციენტებისადმი დამოკიდებულებას?

– დიახ, ისე მოხდა, რომ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფსიქიატრიულ კლინიკაში ვარ მოხვედრილი. ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი დახურულ დაწესებულებაში ყოფნის დადებითი და უარყოფითი მხარეები. კლინიკებში არის უამრავი მოსაგვარებელი საკითხი, რასაც სწორი მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსის გონივრულად გადანაწილების პირობებში, ადვილად მოევლება, დაფინანსება რომც არ გაიზარდოს. პროცენტულად რომ ავიღოთ, პაციენტებისადმი კეთილგანწყობილი პერსონალის რიცხვი მკვეთრად აღემატება მათ, რომლებიც უდიერად ექცევიან პაციენტებს. თუმცა, სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება დაბალი რანგის მედპერსონალის მხრიდან პაციენტთა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებიც. მეც მიმიღია სანიტრის მუშტი თვალში, როცა უარს ვამბობდი ინექციაზე და წინააღმდეგობას ვუწევდი მედპერსონალს, თუმცა სხვა სანიტრები ზრუნავდნენ პაციენტთა განწყობის ამაღლებაზე და მუსიკას რთავდნენ ჩვენთვის. პირადად მქონია შემთხვევა, როდესაც რამდენიმე დღე ვითხოვდი შეხვედრას მკურნალ ფსიქიატრთან და მან ხუთ-ექვს დღეში მოაღწია ჩემამდე, არადა, იმავე სართულზე იყო მისი კაბინეტი. მესმის, გადაღლილი იყო და ბევრი პაციენტი ებარა, მაგრამ თუ სხვა დროს, სხვა ექიმი ახერხებდა ჩემთან ყოველდღიურად გასაუბრებას ჩემი მოთხოვნის გარეშე, ე.ი. რაღაც არარეალურს არ ვითხოვდი მისგან. არ ხდება ფსიქოლოგების, არტ-თერაპევტების აქტიური ჩართვა მკურნალობის პროცესში. მერწმუნეთ, მხოლოდ ფსიქოტროპულების მიღებით ვერ განიკურნებიან პაციენტები, ასე მხოლოდ სიმპტომები მცირდება ან ქრება, გამომწვევი მიზეზები კი რჩება, რომლებიც კვლავ იჩენენ თავს სტრესულ სიტუაციაში. აუცილებელია იმ ფსიქოლოგიური თუ ბიოგრაფიული საკითხების დამუშავება, რამაც მიგვიყვანა ფსიქიკურ დაავადებამდე.

ასევეა, კვების, ჰიგიენის საკითხები მოსაგვარებელი. ზოგიერთ კლინიკაში საკვებია უხარისხო, ხილი თითქმის არაა, ჰიგიენური საშუალების დეფიციტია, გლდანის ფსიქიატრიულ კლინიკაში მხოლოდ ერთი დღეა გამოყოფილი აბანოსთვის, თუმცა თემქის კლინიკაში მუდმივად ღიაა აბაზანის კარი. ყველა საკითხს ვერც შევეხები, იმდენი რამაა გამოსასწორებელი...

– რა სირთულეები ახლავს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას და რა უნდა გაითვალისწინონ პაციენტის ოჯახის წევრებმა?

– უამრავი სირთულე შეიძლება ახლდეს ფსიქიკური დაავადების გამოვლენას. განსაკუთრებით, მკვეთრად იჩენს თავს ეს სირთულეები, როცა პირველად ვლინდება ესა თუ ის სიმპტომი. როგორც წესი, არც პაციენტმა და არც მისმა გარშემომყოფებმა არ იციან, როგორ მოიქცნენ. იპყრობთ უიმედომის განცდა. თვლიან, რომ გამოსავალი აღარ არსებობს. ცნობიერების დონე არის დაბალი ამ სფეროში და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და სტიგმები ზოგჯერ აიძულებს პაციენტს ან მისი ოჯახის წევრებს, დამალონ ეს დაავადება, არ ისაუბრონ ღიად. გვიან მიმართავენ სპეციალისტს დახმარებისთვის. საჭიროებისას უარს ამბობენ პაციენტის სტაციონირებაზე. ყველაფერი ეს, საბოლოო ჯამში, მხოლოდ აუარესებს მდგომარეობას. დაავადების ნიშნების მკვეთრი გამოვლინებისას, ადამიანი ვეღარ ახერხებს სწავლის ან მუშაობის სრულფასოვნად გაგრძელებას, შეიძლება დაენგრეს ოჯახი, დაკარგოს მეგობრები, ფსიქოლოგიური ჩაგვრის მსხვერპლიც კი გახდეს. სრულფასოვან მკურნალობას, ფსიქოთერაპიულ სეანსებს ან სხვა თერაპიებს სოლიდური თანხა სჭირდება და ზოგჯერ ეს ფაქტორიც წარმოადგენს განკურნების ხელისშემშლელ მიზეზს. აქვე გამოვყოფდი ანტიფსიქოზური მედიკამენტების გვერდით ეფექტებსაც. მაგალითად, ზოგიერთ მედიკამენტს ახასიათებს პროლაქტინის დონის მატება სისხლში და მასთან დაკავშირებული სექსუალური და რეპროდუქციული სისტემის დარღვევები, წონაში მატება. მომატებული კილოგრამები კი ხანდახან ხდება თვითშეფასების დაქვეითების მიზეზი. იშვიათ შემთხვევაში, გარეთ გასვლაზეც კი ამბობს პაციენტი უარს, რადგან არ მოსწონს საკუთარი სხეულის ფორმები.

პაციენტის ოჯახის წევრებს ვურჩევდი, იყვნენ იმედიანად (არაფერია იმაზე უფრო მტკივნეული, როცა შენს გამო, სხვა ნერვიულობს და ცუდადაა), დროულად მიმართონ შესაბამის სპეციალისტებს და პაციენტთან შეთანხმებით გამონახონ გამოსავალი. არაფერია სამარცხვინო ან დასამალი ფსიქიკური დიაგნოზის შემთხვევაში. აუცილებელია, მაქსიმალურად მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეთ პაციენტთან და ხშირად ესაუბრონ მას. გამაღიზიანებელია, როგორც ჰიპერმზრუნველობა, ასევე – უყურადღებობა. როგორც ყველგან, ოქროს შუალედის დაცვა აქაც ყველაზე მისაღებია. ხელი შეუწყონ, რომ ჰქონდეს მათ ოჯახის წევრს ჯანსაღი კვება, სრულფასოვანი ძილი, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, თუ დაკისრებულ რაიმე ვალდებულებას ვერ უმკლავდება, დაეხმარონ.

– რა დაგეხმარათ ყველაზე მეტად რთული პერიოდების დაძლევაში და რას ურჩევდით ადამიანებს, რომლებსაც ჯანმრთელობის მსგავსი პრობლემა აქვთ?

– მე დამეხმარა ჩამოთვლილი ფაქტორების ერთობლიობა: სწორად შერჩეული ფსიქოტროპული მედიკამენტები, ოჯახის წევრების, მეგობრების, სპეციალისტების, ჩემი მსგავსი დიაგნოზის მქონე ადამიანების მუდმივი თანადგომა, მათი სწორი პოზიცია ჩემს დაავადებასთან დაკავშირებით, მცდელობა შემეცნო საკუთარი თავი სხვადასხვა პრაქტიკების გამოყენებით. ამ მიზნით უამრავ მეთოდს მივმართე. მათ შორისაა ლოცვები, აგნი-იოგა, ჰათჰა-იოგა, მედიტაციები ჩაკრებისთვის, რეიკი, თაი ჩი, დაოსური მოძღვრება, ასტროლოგია და ა.შ. ყველა მათგანმა სხვადასხვა დროს გარკვეული როლი ითამაშა ჩემი მდგომარეობის სტაბილიზაციაში, მაგრამ ყველაზე ეფექტიანი აღმოჩნდა ანთროპოსოფიული მედიცინის შემადგენელი დარგები: ბუნებრივი მედიკამენტებით მკურნალობა, სამკურნალო ევრითმია, რითმული შეზელვა და მასაჟი. სწორედ სამკურნალო ევრითმიას ვუმადლი 22-დან 29 წლამდე სრულ რემისიას ყოველგვარი ფსიქოტროპული მედიკამენტის გარეშე. იმ პერიოდში გავიარე სემინარი და ამჟამად ვარ დასაქმებული მკურნალ ევრითმისტად მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის სამკურნალო-პედაგოგიურ სკოლაში. ვინაიდან ისეთი საქმით ვარ დაკავებული, რაც მომწონს, არ მღლის და თან მაჯანმრთელებს.

ვისაც აქვს რამე ტიპის ფსიქიკური აშლილობა, ვურჩევდი, დროულად მიმართონ კვალიფიციურ ფსიქიატრს, ფსიქოლოგს, თუ ჩათვლიან საჭიროდ, ალტერნატიული მედიცინის წარმომადგენლებსაც. ჩემს შემთხვევაში, აშკარად გაამართლა დამატებითმა მეთოდებმა. იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით, უარი თქვან ყოველგვარ ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და ალკოჰოლზე. აკეთონ ის საქმე, რაც გამოსდით და თან მუშაობის პროცესიც მოსწონთ. ისწავლონ პოზიტიური აზროვნება ანუ ყველაფერს დადებითი მხრიდან შეხედონ, ჰქონდეთ მადლიერების განცდა. უმადურობა და ნეგატიური აზრები ძალას გვართმევს და გვაავადებს. დაუკვირდნენ თავიანთი დაავადების გამაფრთხილებელ ნიშნებს, ანუ რა სიმპტომებით იწყება დაავადება და თუ მსგავსს შენიშნავენ, აცნობონ ექიმს. ისაუბრონ ამ თემაზე თავისუფლად, დღეს აღარავის უკვირს მსგავსი პრობლემები. საკუთარი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ რაც მეტჯერ მომიყოლია ჩემი ისტორია, მეტად მსუბუქად მიგრძვნია თავი შინაგანად. ამას გარდა, რაც მეტი ადამიანი ვიტყვით ამის შესახებ, მით მეტად შემცირდება სტიგმა და არასწორი სტერეოტიპები. შედეგად, ფსიქიკური დიაგნოზიც დამატებითი სტრესი აღარ იქნება.

სამართალი

№42 26 ოქტომბერი 2022 წ

ბანკიდან გამოსული დედა-შვილი დააყაჩაღეს

როგორ მისცა მაკლერის ცოლმა „ნაკოლი“ კრიმინალებს

ბათო ჯაფარიძე

ბოლო წლებში საბანკო სექტორი ისე განვითარდა, რომ ძალიან დიდია ალბათობა, მიმდინარე ათწლეულის ბოლოს, ნაღდი ფული ევროპის რამდენიმე ქვეყანაში უბრალოდ აღარ იყოს და ყველა ოპერაცია ბარათით განხორციელდეს. ამას გასულ საუკუნეში, ალბათ, ნაკლებად წარმოიდგენდნენ, მაგრამ დიდი ფული ქეშად ძალიან ცოტა ადამიანს უდევს სახლში და ისიც მას, ვისაც არაკანონიერი გზით აქვს ნაშოვნი, თორემ კანონიერი გზით მიღებული ფული თუ დანაზოგი, ძირითადად, ბანკში ინახება. სხვათა შორის, ბოლო დროს ბანკები ცდილობენ კლიენტები იმითაც მიიზიდონ, რომ ფულის მოძრაობაზე ანუ გადარიცხვა-გადმორიცხვაზე ნაკლები პროცენტი ჩამოაჭრან. არადა, ადრე პროცენტული მაჩვენებელი დიდი იყო და ადამიანებს ერჩივნათ, ფული ხელიდან ხელში მიეცათ, თუმცა ისიც ვაღიაროთ, რომ საზღვარგარეთ ფულის გადარიცხვა ახლაც სერიოზულ პროცენტთან არის დაკავშირებული.

21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე, მოსახლეობაში ბანკებისადმი ნდობა ასე თუ ისე ბრუნდებოდა და ადამიანები იმას მაინც შეეჩვივნენ, რომ ბანკში შენახული ფული კომუნისტების დროინდელი ანაბარივით არ დაიკარგებოდა. სწორედ ბანკიდან გამოსულ დედა-შვილს დახვდნენ მაშინ, როცა ისინი ავტომობილში ჩასხდომას აპირებდნენ და ფულიანი ჩანთა წაართვეს. ბიჭმა წინააღდეგობა გაუწია და იარაღიდანაც კი ისროლა. სროლოს შედეგად ერთ-ერთი თავდამსხმელი მკლავში დაიჭრა, მაგრამ დანარჩენმა ორმა ივარგა, ბიჭს ჩანთა გასტაცა, მკერდში ერთი ტყვია დაახალა და სამივე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. საბედნიეროდ, სასწრაფო მალე მივიდა და უკვე საღამოს ექიმებმა დაბეჯითებით თქვეს – ბიჭი გადარჩება.

„როგორც დაჭრილის დედამ თქვა, მათ ბინა გაყიდეს, მთელი ფული და დანაზოგი ბანკში შეიტანეს, ახლა კი ახალი ბინა უნდა ეყიდათ და ფული სწორედ ამისთვის გამოიტანეს. როგორც ისინი ამბობდნენ, აბსოლუტურად არავინ იცოდა, რომ ბინის ყიდვას აპირებდნენ (რა თქმა უნდა, გარდა მაკლერისა). რაც მთავარია, ბინის მეპატრონე ოჯახთან ერთად სერბეთში იმყოფებოდა და ბინის გაყიდვა მთლიანად მაკლერზე ჰქონდა მინდობილი ანუ რეალურად, ბინის მეპატრონემ არც კი იცოდა, ფული ვის და როდის უნდა მოეტანა და ყველაფერი ეს იცოდა ერთადერთმა ადამიანმა – მაკლერმა. ამიტომ, სწორედ მაკლერის დასაკავებლად გავედით“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მაკლერობა მაშინ (ალბათ, ახლაც), არაოფიციალური პროფესია იყო, ვიღაცები ცდილობდნენ უძრავი ქონება გაეყიდათ, სანაცვლოდ კი გარკვეული პროცენტი აეღოთ. როცა დაზარალებულებმა მაკლერის ვინაობა დაასახელეს და სამართალდამცავებმა გადაამოწმეს, აღმოჩნდა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი მაკლერობის გარდა... ბანკის იმ ფილიალშიც მუშაობდა ფინანსურ კონსულტანტად, სადაც დაზარალებულებზე გაიცა თანხა და შემდეგ ყაჩაღობა მოხდა. ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივი იყო, მაგრამ მეორე მხრივ, როგორც წესი, ასეთი რამე არ ხდება ხოლმე, მაგრამ გამომძიებლებს არც სხვა ეჭვმიტანილი ჰყავდათ და არც სხვა ვერსია ჰქონდათ, ამიტომ სწორედ მაკლერი დააკავეს. როცა მას სავარაუდო ბრალი გააცნეს, ჩაფიქრდა, მერე თავი ასწია და მტკიცედ თქვა – გამორიცხულია, მე არავისთვის მითქვამს, რომ დედა-შვილი იმ დღეს და იმ ფილიალში ფულს იღებდა. ფილიალი მე ვურჩიე, ყველაფერი ბევრად მარტივად ხდება იქ, ხალხია ცოტა. ვიცოდი, დღეს რომ აპირებდნენ აღებას, მაგრამ შეხვედრა საღამოსთვის გვქონდა დანიშნული და წარმოდგენაც არ შემეძლო, რომელ საათზე მოვიდოდნენ. მე ხმამაღლა ვამბობ, რომ ამ საქმესთან შეხება არ მაქვს, „ნაკოლი“ არავისთვის მიმიცია, ეს ჩემს პროფესიულ პრინციპებს ეწინააღმდეგება“, – ახალგაზრდა კაცი ისეთ ფრაზებს ისროდა, სამართალდამცავები ერთმანეთს ღიმილით და ხანდახან გაკვირვებით უყურებდნენ.

„შინაგანად ყველა ვხვდებოდით, რომ ეს ბიჭი დამნაშავე არ უნდა ყოფილიყო. არ ჰგავდა ისეთ იდიოტს, რომელიც ვერ გათვლიდა, რომ მასზე უმოკლეს დროში გავიდოდით, თუმცა მეორე მხრივ, ხომ შეიძლებოდა, სწორედ ამ მოტივით ექნა ყველაფერი, შემდეგ კი ემტკიცებინა, მე თქვენ სულელი ხომ არ გგონივართო? ახლა მთავარი იყო, მოგვეძებნა მამაკაცი, რომელიც თავდასხმის დროს დაიჭრა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ამაში კი სამართალდამცავებს ტრაილერის რუსი მძღოლი დაეხმარა. ჰო, რუსი მძღოლი, რომელიც საქართველოში რეისით იყო ჩამოსული, უკან ბრუნდებოდა და გზად დაინახა, როგორ გადაიყვანეს ერთი ავტომობილიდან მიკროავტობუსში ხელში დაჭრილი მამაკაცი და რაც მთავარია, ტრაილერის მძღოლმა ნომრის ჩაწერაც მოახერხა. ჩვენო, რუსეთში ასეთ შემთხვევებს უყურადღებოდ არ ვტოვებთ და მაშინვე მილიციას ვატყობინებთო. ჰოდა, ერთ საათში მთელი მილიცია ფეხზე იდგა და იმ მიკროავტობუსს ეძებდა. ძებნა მეორე დილამდე გაგრძელდა, სანამ ერთ-ერთმა აგენტმა არ თქვა, ეგ მანქანა აქა და აქ აყენიაო. სახლს ალყა ოპერჯგუფმა შემოარტყა და ეჭვმიტანილების აყვანა ხმაურის გარეშე მოხერხდა. თუმცა, სამი თავდამსხმელის ნაცვლად, გამოძიებას ხელთ ორი შერჩა. მესამე, რომელიც დაიჭრა, სისხლისგან იყო დაცლილი და თან ისე, რომ მეგობრებმაც არ იცოდნენ. ის დასაძინებლად ოთახში შევიდა, ჭრილობა გაეხსნა და სისხლისგან ლოგინში დაიცალა. ყველა „სიკეთესთან“ ერთად, სახლში არ იყო ფული, რომელიც დაზარალებულებს წაართვეს. ორი დაკავებული ამბობდა, რომ ფული შემთხვევის ადგილიდან, სწორედ გარდაცვლილმა წაიღო, მიკროავტობუსთან კი ჩანთის გარეშე მივიდა და განაცხადა, რომ ჩანთა საიმედო ადგილზე იყო და როცა ყველაფერი ჩაწყნარდებოდა, მას მარტივად წაიღებდნენ. დაკავებულებმა ისიც თქვეს, რომ გარდაცვლილმა შემთხვევის ადგილიდან ჩანთა მოტოციკლით წაიღო და მოტოციკლიც მიკრუავტობუსში იყო. რა თქმა უნდა, ეს ჩვენება ფულის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას არ იძლეოდა.

„სახლიდან ამოღებული ნივთების თვალიერება დავიწყე. არაფერი განსაკუთრებული, ორი იარაღი, ტყვიები, საოჯახო ნივთები და გასაღებების ასხმა. ჰო... არაფერი განსაკუთრებული, უფრო სწორედ, საერთოდ არაფერი, თუმცა ჩემი ყურადღება ერთმა უცნაურმა გასაღებმა მიიპყრო – რაღაცნაირი, არატრადიციული კბილები ჰქონდა და გამახსენდა, რომ ზუსტად ასეთი კბილებით გასაღები მანამდე დაკავებული მაკლერის ხელში დავინახე. რაღა თქმა უნდა, მაკლერი კვლავ დავაბარებინე, გასაღებები გამოვართვი, შევადარე და... ასპროცენტიანი დამთხვევა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მაკლერს გარდაცვლილიც ანახეს და მან თავი დააქნია, ვიცნობ, ჩემი შორეული ნათესავია, ნახეარ წელიწადში ერთხელ გვსტუმრობდა ხოლმე, ახლა სად მუშაობდა, არ ვიცი, მაგრამ მე ის უფრო მაინტერესებს, საიდან აქვს იმ სახლის გასაღები, რომლის მეპატრონეც საზღვარგარეთ არის, ბინა კი მე მაქვს დატოვებული და გაყიდვას ვცდილობო. როცა მან სახლის მისამართი დაასახელა, გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს – ბინა შემთხვევის ადგილიდან ნახევარ კილომეტრში იყო. ოპერჯგუფის გასვლა არ ივარგებდა. თუ ფული იქ იყო, მაშინ ვინმე უნდა მისულიყო წამოსაღებად, რადგან, როგორც მაკლერი ამბობდა, გარდაცვლილი ნათესავი ბოლოს 3-4 თვის წინ ნახა, ბინის გასაღები კი მეპატრონემ დაახლოებით ორი თვის წინ მისცა ანუ ნათესავი ვერ მოახერხებდა ასლის გაკეთებას და რაც მთავარია, მას არ უნდა სცოდნოდა, სად იყო ბინა. ამიტომ, ეჭვი გაჩნდა თანამზრახველზე, რომელიც ფულს მიაკითხავდა. ამიტომ, მაკლერი, გამომძიებელთან ერთად, როგორც ბინის პოტენციური მყიდველი, კორპუსის ეზოში შევიდნენ და მაკლერი უკვე უმტკიცებდა, ასეთ ბინას სხვაგან ვერ ნახავთ. ეს მეზობლებს უნდა გაეგოთ. ბინაში შესულმა ძალოვანმა იქაურობა გულდასმით დაათვალიერეს და ფულით სავსე ჩანთა საწოლის ქვეშ შეგდებული იპოვეს. ბინას თვალთვალი დაუწყეს, თუმცა არავინ ჩნდებოდა. ღამის ორკვირიანი ლოდინის შემდეგ, ერთ საღამოს, სადარბაზოში ახალგაზრდა ქალი შესრიალდა. აშკარად ეტყობოდა, რომ უცხო იყო, გარემოს ისე ათვალიერებდა. იმ დროისთვის ორი ოპერმუშაკი უკვე ბინაში ცხოვრობდა, ამიტომ როცა ქალმა კარი გააღო და კეფაზე იარაღის შეხება იგრძნო, შეჰკივლა, თუმცა კივილი უკვე გვიანი იყო – ის დააკავეს. დაკავებული მაკლერის... ცოლი აღმოჩნდა.

„ჩემს ქმარს ჩემთვის არასდროს ეცალა, მუდმივად სამსახურზე იყო გადართული. სახლშიც გამუდმებით სამსახურზე საუბრობდა, ამბობდა, სად რა თანხა იყო გადასახდელი, როდის უნდა მიეტანათ, რომელ მისამართზე. ძალაუნებურად ვიცოდი ყველაფერი. ის შორეული ნათესავი, ასე იშვიათად რომ ხედავდა ჩემი ქმარი, შორეული სულაც არ იყო, ხშირად მოდიოდა ჩემთან... ჰო, ჩემთან, მას მართლა ვუყვარდი. სწორედ ერთ-ერთი ვიზიტის დროს, ქმარი დაბრუნდა და ტელეფონზე იმ ბინის გაყიდვაზე საუბრობდა, მგონი შეიძენენო, მეპატრონეს ეუბნებოდა და ფულსაც ჩვენი ფილიალიდან გაიტანენო. გეგმაც ამის მერე დაისახა, გასაღების დუბლიკატის გაკეთებაც მოვიფიქრეთ, ფულის იქვე დამალვაც. წასვლას ვაპირებდი სახლიდან, მაგრამ ახალი ცხოვრებისთვის ფული ხომ მინდოდა? ეს ბოთე მაგასაც ვერ ხვდებოდა, რომ გაყრას ვაპირებდი“, – დაასრულა მოყოლა ქალმა.

როცა მაკლერს ყველაფერი უთხრეს, გაოცებისგან პირი დააღო და... გამომძიებლებს უთხრა, ეგებ ჩემი ცოლი გამოუშვათ, შეცდომაში შეიყვანეს, თორემ ასეთი გული არ აქვსო. სამართალდამცავებმა მისი თხოვნა შეასრულეს, ოღონდ მოგვიანებით – ქალს სასამართლომ 7 წელი მიუსაჯა.

რატომ აჩუქა მამაკაცმა ცოლის საყვარელს სამშენებლო კომპანია

ოჯახური სამკუთხედის უცნობი დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ორიოდე წლის წინ, ქვემო ქართლის რეგიონის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მოხდა. რატომ არ ჰპოვა ამ ისტორიამ დიდი გამოხმაურება და რატომ არ გახდა საინფორმაციო საშუალებების განხილვის თემა, თავად მიხვდებით. ერთი შეხედვით, ყველაფერი ძალიან ჰგავდა ჩვეულებრივ ოჯახურ კონფლიქტს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით...

საღამოს საათებში, კლინიკაში, 40 წლამდე მამაკაცი მიიყვანეს. სწორედ რომ მიიყვანეს, რადგან სიარული არ შეეძლო, ორივე ფეხი გადამტვრეული ჰქონდა და ექიმებმა, სანამ ოპერაციას დაიწყებდნენ, პოლიციაში დარეკეს. აშკარა იყო, დაზარალებულს ფეხის ძვლები რაღაც საგნით დაამტვრიეს – რკინის მილით ან ბეისბოლის ჯოხით და შემდეგ გაირკვა, რომ ექიმები არ ცდებოდნენ – საქმეში ბეისბოლის „ბიტა“ გამოჩნდა. დაზარალებული მშვიდად ჰყვებოდა, შინ მეძინა, ხმაურზე გამეღვიძა, ეზოში გამოვედი, უცხო მამაკაცი შევნიშნე ნიღბით, რომელიც მოტოციკლის მოპარვას აპირებდა და როცა გადავწყვიტე დამეკავებინა, ბეისბოლის „ბიტით“ თავს დამესხა და ფეხები დამიმტვრიაო. სამართალდამცავებს ეს ჩვენება თავიდანვე საეჭვოდ ეჩვენათ ორი მიზეზის გამო. პირველი ის, რომ ორივე ფეხი საგულდაგულოდ იყო დაჩეჩქვილი, თავდამსხმელი კი ასე არ იქცევა. საკმარისი იქნებოდა, მას დაენახა, რომ სახლის მეპატრონეს ერთი ფეხი მოსტეხა, მაშინვე გაიქცეოდა, დროს არ გაწელავდა და მეორეც – დაზარალებული უშიშროების ყოფილი თანამშრომელი იყო, წლების წინ, სამსახურიდან ბიზნესის საკეთებლად რუსეთში წასული და სახლში ოფიციალურად ჰქონდა იარაღი. ის არანაირი ლოგიკით, ჯოხით შეიარაღებულ თავდამსხმელს არ უნდა შებმოდა, იარაღი უნდა გამოეტანა და მარტივადაც დააკავებდა. გამოძიების ვერსია მას შემდეგ გამყარდა, რაც მეზობლებმა თქვეს, რომ ხმაურზე ეზოში შევიდნენ და ნიღბიანი პირი არ უნახავთ, ეზოში დაზარალებულის ნათესავი ბიჭი იდგა ბეისბოლის ჯოხით, ხოლო მეუღლე მშვიდად უყურებდა, როგორ იკლაკნებოდა ტკივილისგან მისი ქმარი.

„სამი თვეა, რაც ეს ნათესავი გამოჩნდა და ამათთან ცხოვრობს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მგონია, რომ იმ ქალის საყვარელია და უბრალოდ, ქმარმა მოუსწრო. მერე მოხდა ის, რაც მოხდა და თავდასხმა და მოტოციკლის ქურდობის მცდელობა არ ყოფილა. ისე, ეგ ქალი სამი წლის წინაც გამოიჭირა ქმარმა, მაშინ შიშველი კაცი გამორბოდა მაგათი ეზოდან, მაგრამ მერე მიივიწყეს ეს ამბავი“, – განაცხადა ერთ-ერთმა მეზობელმა.

ნათესავი სამართალდამცავებმა მალე იპოვეს. დაძალება საჭირო არ იყო, მოჰყვა, რომ მოსკოვიდან სამი თვის წინ ჩემოვიდა, ნათესავთან დასახლდა, რადგან საქართველოში ყველაფერი გაყიდა და რუსეთის ვალები გადაიხადა. მის ცლთან ლოგინში როგორ აღმოჩნდა, აღარც კი ახსოვს, მაგრამ ურთიერთობა ჩამოსვლიდან ერთ თვეში დაიწყო, მერე ქმარმა მოუსწრო და თავს ხომ არ მოაკვლევინებდა, ბეისბოლის ჯოხი გამოიყენა და სანამ გამოჯანმრთელდება, რუსეთში წასვლასაც ვაპირებო, დააყოლა. სხეულის განზრახ დაზიანების გამო, ბიჭი დააკავეს და დასაკითხად ისევ უშიშროების ყოფილ თანამშრომელთან მივიდნენ.

„ტყუილია, ღალატის სცენა არ მინახავს, ნათესავია და მინდოდა, დამეცვა, ვერ ხვდება, რომ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. შელაპარაკება მოგვივიდა, გადაირია და ცემა დამიწყო. ამიტომ მოვიფიქრე ყველაფერი, მაგრამ რა გაეწყობა, რადგან თავად აღიარებს, მეც ვიტყვი, რომ მან მცემა, მაგრამ ჩემს ცოლთან არაფერი ჰქონია“, – განაცხადა დაზარალებულმა, მაგრამ აშკარა იყო, ტყუოდა, რადგან ძალოვნებს ქალიც დაკითხული ჰყავდათ და მან ზუსტად იგივე ჩვენება მისცა, რაც ნათესავმა ბიჭმა.

ამავდროულად, გაირკვა ისიც, რომ რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, უშიშროების ყოფილმა თანამშრომელმა თან დიდი ფული ჩამოიტანა, დედაქალაქში რამდენიმე ობიექტი იყიდა და საერთო ჯამში, ოთხ მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა. სად და როგორ იშოვა ეს თანხები, არავინ იცოდა, მაგრამ მალე გაირკვა ისიც, რომ მისი პარტნიორი მოსკოვში, დაკავებული ბიჭის მამა იყო, რომელიც... რუსეთის დედაქალაქში მოკლული მას შემდეგ იპოვეს, რაც დაზარალებული საქართველოში დაბრუნდა. გაჩნდა ეჭვი, რომ ნათესავებს შორის, რაღაც მოხდა და ბიჭი შურის საძიებლად ჩამოვიდა. თუმცა, თუ ეს ვერსია სიმართლესთან ახლოს იყო, რას ელოდა ის სამი თვის განმავლობაში? სრული ინფორმაციისთვის, ქართველმა კოლეგებმა არაოფიციალურად რუს კოლეგებს მიმართეს. რადგან საქმეში უშიშროების ყოფილი თანამშრომელი იყო, საჭირო გახლდათ, ყველაფერი დეტალებში გარკვეულიყო. რუსეთდან პასუხი მალე მოვიდა და როგორც მოსკოვიდან იწერებოდნენ, ბიჭის მამა, სავარაუდოდ, მევალეებმა მოკლეს. მას და უშიშროების ყოფილ თანამშრომელს, მოსკოვსა და მის შემოგარენში, ავტოსალონები ჰქონდათ გახსნილი და ახალი მანქანებით ვაჭრობდნენ. ავტოსალონთა რაოდენობამ 60-ს რომ გადააჭარბა, ერთ დღეს, პრაქტიკულად, ყველა მანქანა გაიყიდა, სალონები დაიხურა და ერთ-ერთი მეწილე ანუ ამჟამინდელი დაზარალებული სადღაც გაქრა (სადღაც რა, საქართველოში წამოვიდა), მეორემ კი ვერ გამოასწრო და ის გარდაცვლილი იპოვეს. ვარაუდობენ, რომ სწორედ მევალეებმა გამოუყვანეს წირვა.

როგორც კი რუსეთი და ავტოსალონები ახსენეს, უშიშროების თანამშრომელი დაიბნა, მაგრამ თავი დროზე მოთოკა და განაცხადა, ვიმუშავე, ფული დავაგროვე, საქართველოში, ჩემს სამშობლოში დავბრუნდი და აქ ინვესტიცია განვახორციელე, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავო. რაც ყველაზე საინტერესოა, აღნიშნულ საქმეზე მოსკოვში არავის ჰქონდა განცხადება დაწერილი ანუ არავინ არაფერს ჩიოდა და ამას ძებნილის სტატუსიც არ ჰქონდა. საჭირო იყო, დაკავებულ ბიჭს ესაუბრა, მაგრამ საუბრის სანაცვლოდ, მისთვის რაღა უნდა შეეთავაზებინათ და ეს რაღაც თავისუფლება იყო, ოღონდ, პირობითი სასჯელით. ბიჭმა მოსაფიქრებლად ორი დღე ითხოვა, შემდეგ კი გამომძიებელს ქაღალდი და კალამი გამოართვა და უთხრა, რამე რომ არ გამომრჩეს, მირჩევნია, დავწერ, მერე კითხვები თუ გაგიჩნდებათ, გიპასუხებთო. სამი დღე აწვალა ბიჭმა კალამი და ფურცელი, სამი დღე ელოდნენ სამართალდამცავები...

„ამ არაკაცს და მამაჩემს საერთო ბიზნესი ჰქონდათ. ავტოსალონები გახსნეს მოსკოვში და სხვებზე იაფად ჰყიდდნენ მანქანებს. გეგმა და მიზანი მარტივი იყო – ბევრი სალონი, მინიმალურ მოგებაზე მუშაობა და ბევრი გაყიდული მანქანა. საბოლოო ჯამში, დღეში თითოს ორი ათას დოლარამდე რჩებოდა სუფთა მოგება, მაგრამ ეს იძახდა, ცოტააო. შემდეგ მამაჩემს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა, საავადმყოფოში დაწვა, ერთი ოპერაცია გაუკეთეს, მერე მეორე... სალონებს ეს მართავდა და როცა საავადმყოფოდან გამოსვლას სამი დღე აკლდა, ვიღაც ტიპები მოვიდნენ და გვითხრეს, რომ მათი ვალი გვქონდა. მამა გაოცდა და როგორც გაირკვა, ესენი დილერების წარმომადგენლები იყვნენ. თურმე, სანამ მამაჩემს საქმეებისთვის არ ეცალა, მისმა პარტნიორმა სალონები მანქანებით გატენა, შემდეგ კი ლამის ნახევარ ფასში გაყიდა, ფული აიღო და საქართველოში წამოვიდა. ასე შერჩა მამაჩემს მილიონობით ვალი და... კი ამბობენ ექიმები, მუცელში ხელი დაარტყეს, ნაკერები გაეხსნა და მაგიტომ გარდაიცვალაო, მაგრამ მე მის სიკვდილში ამ არაკაცს ვადანაშაულებ. საქართველოში ყველაფერი გავყიდე, რაღაც ნაწილი გავისტუმრე, მოსკოვში ბინაც დილერებს გადავუფორმე და აქ წამოვედი, ეს რომ მომეკლა. ისე მიმიღო, თითქოს არაფერი მომხდარა და მეც მასთან ცხოვრება დავიწყე. ვიფიქრე, ეგებ, ფულის სამალავს მივაგნო-მეთქი. მერე მის ცოლთან რომანი გავაბი, ესეც შურისძიების ერთ-ერთი გზა იყო, ხვდებოდა, განა არ ხვდებოდა, მაგრამ ვერაფერს ამბობდა. ცოლიც ემუქრებოდა, პირს მოვაღებ და დაგიჭერენო. იმ დღეს კი პირდაპირ საძინებელში შემოგვისწრო და ატეხა ერთი ამბავი. ცემითაც ამიტომ ვცემე სამაგალითოდ, იმედია, ნორმალურად ვერასდროს გაივლის“, – ასეთი იყო აღიარების მოკლე შინაარსი.

ჩვენების მიუხედავად, უშიშროების ყოფილ თანამშრომელს ბრალი ოფიციალურად ვერაფერში წაუყენეს. საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ, მან ჩვეულებრივად გააგრძელა ბიზნესის მართვა. ბიჭს, რომელიც მისი ცოლის საყვარელი იყო, სამშენებლო კომპანია მისცა და თან ისეთი კომპანია, რომლის საშუალებითაც დღეს ეს ბიჭი თბილისში ორ კორპუსს აშენებს.

ბათო ჯაფარიძე

90-იან წლებში, ადამიანის გაფუჭება ძალიან ადვილი იყო. ადვილი იყო გაუხსნელი საქმის გახსნაც, ისეთის, მომკითხავი რომ არავინ ჰყავდა, მაგრამ კარგი მაჩვენებლისთვის აუცილებლად რომ უნდა გაგეხსნა. ყველაფერი უფრო გაიოლდა მაშინ, როცა დედაქალაქში დევნილები ჩამოვიდნენ. მათ უმრავლესობას საცხოვრებელი არ ჰქონდა, თავიდან ქუჩაშიც კი რჩებოდნენ, ბევრი საერთოდ ასცდა გზას, ბევრი გალოთდა, ბევრს, უბრალოდ, გულმა უმტყუნა. ჰოდა, ყველაფერი ეს სამართალდამცავი ორგანოებისთვის, ერთი მხრივ, მისწრება იყო – თუნდაც გარდაცვლილს ან გალოთებულს ისეთ დანაშაულს შეაწმენდდნენ, რომლის აზრზეც არ იყო, მაგრამ გარდაცვლილი ვეღარ აპროტესტებდა, გალოთებული – აღარ, რადგან ამის არც თავი ჰქონდა, არც – ნერვები...

როგორ იძია შვილის მკვლელზე შური დედამ ათი წლის შემდეგ

ვინ არის მამაკაცი, რომელმაც ათწლიანი სასჯელი შეცდომით მოიხადა და ციხიდან გამოსვლის შემდეგ მოკლეს

2003 წლის დეკემბერი ბოლო დღეებს ითვლიდა. საზოგადოება აღტაცებით უყურებდა უკვე შეცვლილ ხელისუფლებას, თან არჩევნებისთვის ემზადებოდა და ყველამ იცოდა, რომ გამარჯვებას ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილი მოიპოვებდა. აი, მერე რა მოხდებოდა, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა და ვერც იმას იფიქრებდა ვინმე, რომ ერთ მშვენიერ დღეს, სააკაშვილი მისივე აშენებული ციხის პატიმარი გახდებოდა. ჰოდა, ხალხი რომ ძველ ქრისტეშობას ზეიმობდა, მიტოვებული შენობის პირველ სართლზე, სამართალდამცავებმა მამაკაცის გვამი ნახეს. კაცი ეტლში იჯდა ანუ შშმ პირი იყო, როგორც ჩანს, ეტლი გადაუყირავდა და თავი ძველი, თუჯის რადიატორის ნამსხვრევზე ჰქონდა ჩამორტყმული. საეჭვო არაფერი ჩანდა, არც ბრძოლის კვალი, არც – ნაიარევი, ან ძალადობის სისხლჩაქცევები. ექსპერტიზამაც დაასკვნა, რომ საქმე უბედურ შემთხვევასთან ჰქონდათ, მამაკაცი იმ აგურზე აყირავდა, რომელიც იქვე, ეტლთან ეგდო და უხერხულად, პირდაპირ საფეთქლით დაეცა.

ადგილობრივი ოპერების გამოკითხვამ გამოცდილი გამომძიებლები კი შეაფიქრიანა, მაგრამ... საქმე ის გახლდათ, რომ გადამოწმების შედეგად გაირკვა, ეს მამაკაცი ციხიდან ორი თვის გათავისუფლებული იყო, ათწლიანი სასჯელი მოიხადა და სასჯელს გოგოს გაუპატიურებისთვის იხდიდა. უფრო ზუსტად, 1993 წელს, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, შინ მიმავალი გოგონას გაუპატიურება სცადეს, გოგონამ წინააღმდეგობა გაუწია, რა დროსაც თავში ქვა ჩაარტყეს. ძიძგილაობა გამვლელებმა შენიშნეს, ყვირილი დაიწყეს და თავდამსხმელი გაიქცა, გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა, ის გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. მაშინ სამართალდამცავებმა სწორედ ახლა გარდაცვლილი, ეტლს მიჯაჭვული პირი დააკავეს, თუმცა ათი წლის წინ, ის ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა იყო. შემთხვევის ადგილზე მისი ქამარი და სანთებელა ნახეს, რომელზეც თითის ანაბეჭდები მკაფიოდ იყო აღბეჭდილი. თავად დაკავებული ვერაფერს იხსენებდა და ამბობდა, რომ იმ დღეს, შემთხვევის ადგილის მიმდებარედ, ზომაზე მეტი დალია, მერე აღარაფერი ახსოვს და როცა გამოფხიზლდა, წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებოდა. სასამართლოზე მან საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ვერაფერი თქვა, პროკურატურას კი სხვა ეჭვმიტანილი არ ჰყავდა და ჯიუტად, ირიბი მტკიცებულებებით ცდილობდა ფონს გასვლას. საბოლოო ჯამში, მოსამართლემ მკვლელობის მუხლი სხეულის განზრახ დაზიანებით შეცვალა, რამაც სიკვდილი გამოიწვია და დაკავებულს ათწლიანი სასჯელი მიუსაჯა ანუ რეალურად, გარდაცვლილს არავინ გაუუპატიურებია და ამის სურვილი რომც ჰქონოდა, ვერც მოახერხებდა. აღნიშნული განაჩენით ციხეში შესულებს კი იცით, როგორც „უმასპინძლდებიან“ და როცა ბიჭმა ხელი მოიქნია, მთელი კამერა დაესია. შედეგად, ციხიდან ეტლით გამოვიდა.

საქმე დასახურად იყო განწირული, როცა განყოფილებაში მდგარი ეტლით (სხვათა შორის, მნიშვნელოვანი ნივთმტკიცებით) ოპერმუშაკებმა კორიდორში სეირნობა მოინდომეს, ერთი ჯდებოდა, მეორე აწვებოდა და საბოლოო ჯამში, ეტლი რამდენჯერმე ამოუყირავდათ, ბოლოს კი იატაკიდან ამოშვერილ პარკეტის ნატეხს გამოედო და საზურგე მთლიანად გაიხა. იქიდან კი... მაჯის საათი გადმოვარდა. სამართალდამცავებმა საათს დახედეს და მართალია, არცთუ მკაფიოდ, მაგრამ შუშას რაღაც მუქი ლაქა ეტყობოდა, იქვე კი ექიმის მიერ გაცემული რაღაც დასკვნა იდო, რომლის თავი და ბოლოც ვერავინ გაიგო. საბოლოო ჯამში, საათიცა და დასკვნაც ექსპერტებს გადასცეს.

„დასკვნა ადრეა გაცემული, არაოფიციალურად და წერია, რომ საათის მინასა და სამაჯურზე აღმოჩენილი სისხლი იდენტურია კონკრეტული ადამიანის სისხლის ჯგუფისა. საათზე აღმოჩენილია წარწერა, რომლითაც მარტივია მისი მფლობელის დადგენა, რადგან მითითებულია თარიღი, სახელი, გვარი და კონკრეტული სასწავლებლის ემბლემა“, – ეწერა ექსპერტიზის დასკვნაში.

გამომძიებლებისთვის ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ სისხლის ჯგუფი, სახელითა და გვარითურთ გარდაცვლილ გოგონასას ემთხვეოდა, აი, საათზე არსებული წარწერა კი ეტლით მოსარგებლესი ნამდვილად არ იყო. რა გამოდიოდა? შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი იყო საათი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში არსად ჩანდა, თუმცა ამ საათზე ჩატარებული იყო არაოფიციალური ექსპერტიზა და რაც მთავარია, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ეს ნივთი როგორღაც იმ კაცის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც სასჯელი, სავარაუდოდ, ტყუილად მოიხადა. რა ძნელი მისახვედრია, რომ ძალოვნებმა საათის მეპატრონის ძიება დაიწყეს და მალეც მიაგნეს. ახალგაზრდა კაცს მილიციელთა (მაშინ ჯერ კიდევ მილიცია ერქვა) გამოჩენა არ გაჰკვირვებია და გულახდილად თქვა კიდეც, გელოდით, რადგან ერთი იდიოტი მაშანტაჟებდა, გინდა თუ არა, შენი სისხლიანი საათი მაქვს და თუ 300 ათასს არ მომცემ, მილიციაში წავალო.

გაირკვა, რომ ეტლით მოსარგებლე სწორედ საათის მეპატრონესთან მივიდა და უთხრა, რომ ჰქონდა მტკიცებულება, რომლითაც ათი წლის წინ გოგონა სწორედ მან მოკლა, ყოველ შემთხვევაში, მისი ნივთი იმ ადგილზე იყო ნაპოვნი და რაც მთავარია, მას ეცხო გარდაცვლილის სისხლი, რაც ოფიციალურად ჩატარებული ანალიზითაც დასტურდებოდა. მამაკაცმა ეტლით მოსარგებლეს კარგად არც კი მოუსმინა, ურჩია, თუ მილიციაში წასვლა გინდა, წადი, არავინ გიშლისო, მაგრამ... ამ ვიზიტიდან მეორე დღეს, მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს, სავარაუდო ეჭვმიტანილს კი იმ დროისთვის ალიბი არ ჰქონდა. ის ამბობდა, მანქანით ვმოძრაობდი მაგ დროს, მაგრამ მოწმე არ მყავს, მარტო ვიყავიო.

„ეს საათი ათი წლის წინ ნამდვილად დავკარგე. ჩვენ, კურსის დახურვა დაგვიგვიანდა და ამიტომ, წინასაახალწლოდ, თბილისის ზღვასთან, რესტორანში აღვნიშნეთ. საათი ყველას ჰქონდა და ყველას საკუთარი გრავირებით. ქუდში ჩავყარეთ, ავანჯღრიეთ და ბრმად ამოვიღეთ, ყველამ გავიკეთეთ, ოღონდ არ ვიცოდით, ვის ვისი გვეკეთა და მეორე დღეს უნდა გაგვერკვია,ნაბახუსევზე, ხაშით გამოსვლის დროს. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ჩემი საათი არავის ეკეთა და დაიკარგა. მაშინ კი ვიდარდე, მაგრამ ათი წელი გავიდა, საათი კი არა, მამა დამეღუპა და იმას ვერ გადავყევი. ახლა კიდევ ვიღაც„ ბომჟი“ მომადგა და ის საათი რომ დაგიბრუნო, 300 ათასი უნდა მომცეო. გადაირია ხალხი საერთოდ“, – დაასრულა მოყოლა დაკავებულმა და ძალიან, ძალიან ძნელი იყო, მისი სიტყვების გადამოწმება. ამიტომ დაკავებული ხელწერილის საფუძველზე გაუშვეს და იმავე საღამოს ინანეს – მას სახლთან „ტეტეს“ ფირმის პისტოლეტიდან მიბჯენთ ესროლეს და ადგილზე მოკლეს. ყელაფერი ეს ძალიან ჰგავდა შურისძიებას და სამართალდამცავებმა გარდაცვლილი გოგონას საახლობლოს ძიება დაიწყეს. აღმოჩნდა, რომ მას მამა მალევე დაეღუპა, და-ძმა არ ჰყავდა და მისამართზე მხოლოდ დედა ცხოვრობდა, 50 წელს გადაცილებული, სანდომიანი ქალბატონი. სამართალდამცავების გამოჩენა არც მას გაჰკვირვებია, ჩუმად თქვა, გავიგე, ის ნაძირალა რომ მოკვდა, ეტლით მოსარგებლე, ამიტომ ვფიქრობ, ჩემთან მოსალოცად მოხვედითო. არადა...

როცა ქალმა გაიგო, რომ რეალური მკვლელი შშმ პირი არ იყო, სავარაუდო მკვლელი კი სიცოცხლეს თავში გასროლით გამოასალმეს, პირი დააღო და მხრები აიჩეჩა, ვერც კი ვხვდები, რეალურად რა ხდებაო. განყოფილებაში დაბრუნებულ სამართალდამცავებს მორიგი სიურპრიზი ელოდათ – ოპერმუშაკებს იარაღით მოვაჭრე ჰყავდათ დაკავებული და ისიც წვრილად ჰყვებოდა, ვის და რა მიჰყიდა. ჰოდა, ჩამოთვილ ნივთებში დაასახელა „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტი, რომელიც მისგან... ასაკოვანმა ქალმა იყიდა. გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს და დაკავებულს მაშინვე გარდაცვლილი გოგონას დედის სურათი დაუდეს წინ. მან დახედა და დაბეჯითებით თქვა – ეს იყო. მილიცია იმავე მისამართზე დაბრუნდა, სადაც ბოლოს იმყოფებოდა, თუმცა ამჯერად, ბინის ჩხრეკის ორდერით ხელში. ქალმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, შემდეგ სარკესთან დადებულ ტუჩსაცხზე მიუთითა, ამას არ შეეხოთ, 10 წლის წინ რომ დადო ჩემმა შვილმა, მას შემდეგ გაუნძრევლად დევსო. მერე კი... მერე ხელი აიქნია, არ გინდათ ჩხრეკის დაწყებაო და სამზარეულოში, ერთ-ერთ უჯრაზე მიუთითა, იარაღი იქ არისო.

„ახლაც არ ვიცი, ვინ არის ის კაცი. ვიღაცამ დამირეკა, შენი შვილის ნამდვილი მკვლელის ვინაობა ვიციო. ფული მომთხოვა. არ გვქონდა ღარიბი ოჯახი, მე მეორე ბინაც დამრჩა ქმრისგან და სწორედ ის გავყიდე, ფულით კი ეს საათი და დასკვნა ვიყიდე. მერე ის უბედური გამოვიდა ციხიდან, ვუთხარი, აგერ, ეს ნივთები, იმ კაცს ფული გამოართვი, შენს თავს მიხედე და მერე იმას ბოლოს მე მოვუღებ-მეთქი. ეს კი იდიოტურად, მიადგა იმ ოჯახს, 300 ათასი მომეციო. ვუთვალთვალებდი და როცა გავიგე რას თხოვდა, მივხვდი, შეცდომა დავუშვი, ამ ხეიბრისთვის საერთოდა არაფერი არ უნდა მეთქვა. ამიტომ, იმ ნანგრევეში მივადექი და ნივთების დაბრუნება მოვთხოვე, არ მაქვსო, იუარა, გადავირიე და ხელი მძლავრად ვკარი, თავი ვერ შეიმაგრა, გადავარდა და ადგილზე მოკვდა. ნივთები ვერ ვიპოვე, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, ვინ იყო მკვლელი და ამიტომ, მას მივადექი, მაგრამ თქვენ დამასწარით. შემდეგ კი გამოუშვით და არც კი განძრეულა, როცა ქალი მიადგა, სავარაუდოდ, ქალისგან საფრთხეს არ ელოდა. ამიტომ, ზურგი მომაქცია და მაშინვე მშვიდად დავადე და გავისროლე. დავისვენე? არა, არ დავისვენე, რაღაცნაირი სიცარიელეა შიგნით“, – თქვა ქალმა.

ძალოვნებმა არ დაიზარეს, ბევრი იშრომეს და დაადგინეს, რომ მაშინ, 1993 წელს, შემთხვევის ადგილზე გამვლელი ოპერი მივიდა, რომელმაც საათი იპოვა და ფულის გაკეთება გადაწყვიტა. საათის გრავირებით მიხვდა, ვისი შეიძლებოდა ყოფილიყო საათი და ისიც იცოდა, რომ ბიჭის მამა უფულობას არ უჩიოდა. თანაც, იმ ოპერს მანქანაში მთვრალი კაცი ეჯდა, რომელსაც ქამარი შეხსნა, სანთებელაც ამოუღო და იქვე დააგდო, საათი კი გოგონას სისხლში თავად ამოაწო და შეინახა. ყველაფერი რომ დასრულდა, ოპერი ფულისთვის ბიჭის მამას მიადგა, იმან ხელი აუქნია, ჩემს შვილს თუ დაიჭერენ, შენც დაგიჭერენო. ოპერმა წყენა გულში ჩაიდო, სისხლის ანალიზი მეგობრულად გააკეთებინა და მშვიდად ელოდა ათ წელს. ათი წლის გასვლის შემდეგ, ფული გოგოს დედას გამოართვა და თან სამხილებიც მიუგდო. მერე კი... მერე ყველაფერი აგორდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანია – „ემეგობრე პოლიციას“ ბორჯომში გაგრძელდა

ბორჯომის ცენტრალურ პარკში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, საზოგადოებრივი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას დაესწრნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ბუხრაშვილი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დირექტორი თემურ მღებრიშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არბოლიშვილი და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები. კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, ბორჯომში სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი აქტივობები ჩატარდა.

ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის, მომსახურების სააგენტოს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საპატრულო პოლიციის, სასაზღვრო პოლიციის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, დაცვის პოლიციის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საქმიანობას, ასევე, დაათვალიერეს აღნიშნული დანაყოფების აღჭურვილობა და სპეცტექნიკა.

ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, სხვადასხვა გასართობ და შემეცნებით აქტივობაში მიეღოთ მონაწილეობა.

კამპანიის ფარგლებში, ასევე, გრძელდება შსს-ს დანაყოფების წარმომადგენლების ვიზიტები სკოლებში. საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები იმართება მოსწავლეებთან, რომლის მიზანია, ბავშვებსა და მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

პოლიციამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.მ., დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს, ბრალდებულს თბილისში, ლაღიძის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკება მოუხდა ოთხ პირთან, რა დროსაც მათი მიმართულებით ხელყუმბარა ისროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ხელყუმბარის აფეთქების შედეგად დაშავდა სამი პირი: 1994 წელს დაბადებული ლ.ბ., 1991 წელს დაბადებული გ.ა. და 1983 წელს დაბადებული გ.ზ.

სამივე მათგანს საავადმყოფოში შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება. პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

სამი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის, ასევე, ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროსტიტუციის ხელშეწყობისა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით ექვსი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ექვსი პირი დააკავეს.

1967 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ ფ.ა.-ს, 1964 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ მ.ჯ.-ს, 1954 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ მ.ბ.-ს, 1989 წელს დაბადებულ ნ.კ.-ს, 1982 წელს დაბადებულ ს.ფ.-სა და 1972 წელს დაბადებულ ბ.ა.-ს, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ პროსტიტუციის ხელშეწყობასა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემაში ედებათ ბრალი.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, თბილისში მდებარე სასტუმროების – „ჰოტელისა“ და „ტიტანიკის“ ნომრებს პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს, კლიენტების მომსახურების მიზნით, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, სისტემატურად გადასცემდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ პროსტიტუციის ხელშეწყობასა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების ხელმძღვანელი პირები აშშ-ში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას დაესწრნენ

„პოლიციის ხელმძღვანელთა საერთაშორისო ასოციაციის“ (IACP) ორგანიზებითა და აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ხელშეწყობით, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დალასში, საერთაშორისო კონფერენცია და გამოფენა გაიმართა, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია დაესწრო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას ესწრებოდნენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი სულხან თამაზაშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი გრიგოლ ბესელია, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ლაშა გოგნიაშვილი, საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის უფროსი მარიამ ჭიკაიძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პრორექტორი ირინა აბრამიშვილი.

ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ისეთ თემატურ ტრენინგებსა და სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში, როგორებიცაა: მაღალი ხილვადობის მოვლენების შემთხვევების შესწავლა; საზოგადოებისა და პოლიციის ჩართულობა; კრიტიკული ინციდენტების მართვა და კრიტიკულ ინციდენტებზე რეაგირება; ინოვაციები პოლიციაში; ოფიცრის უსაფრთხოება და კეთილდღეობა; ორგანიზაციული კულტურა და ლიდერის უნარების განვითარება; საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების კვეთა; ძალადობრივი დანაშაული და ა.შ.

დელეგაციის წევრები ასევე დაესწრნენ გამოფენას, სადაც მოინახულეს უახლესი ინოვაციები სამართალდაცვით სფეროში, მათ შორის, პრაქტიკული ექსპონატები, უწყვეტი საგანმანათლებლო სივრცეები, უახლესი ტექნოლოგიური ტენდენციები, ტაქტიკური აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები, სადაზვერვო ტექნოლოგიები და სხვა.

„პოლიციის ხელმძღვანელთა საერთაშორისო ასოციაციის“ ყოველწლიური კონფერენცია და გამოფენა წარმოადგენს წლის ყველაზე დიდ და მასშტაბურ ღონისძიებას სამართალდაცვით სფეროში, რომლის ფარგლებშიც, 16 000-ზე მეტი სამართალდამცველი ხვდება ერთმანეთს, უზიარებს გამოცდილებას, ეცნობა ახალ ტექნიკებსა და ტენდენციებს, იუმჯობესებს საკუთარ ცოდნასა და კომპეტენციას.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიურო (INL), უკვე მრავალი წელია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, კიბერდანაშაულის, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგის, ტაქტიკური მომზადების, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ტყიბულის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ტყიბულის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი, 1970 წელს დაბადებული მ.შ., მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თაღლითობის ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მ.შ.-მ, მოქალაქეს მოტყუებით, ჩამორთმეული მართვის უფლების თითქოსდა აღდგენის სანაცვლოდ, გამოართვა 2000 ლარი.

კვარაცხელიას მორიგი ბენეფისი

გასულ უქმეებზე, იტალიის სერია A-ს ცენტრალური შეხვედრა კვირას, „სტადიო ოლიმპიკოზე“ გაიმართა. „რომამ“ ლიდერ „ნაპოლის“ უმასპინძლა და იმის მიუხედავად, რომ ბევრი ეცადა, ვერაფერი გააწყო და დამარცხდა. ჩვენდა გასახარად, როგორც მატჩამდე, ისე მატჩის შემდგომ, ერთ-ერთი მთავარი სალაპარაკო თემა ხვიჩა კვარაცხელია გახლდათ. ჯერ მატჩამდე ვთქვათ.

პრესკონფერენციაზე მისულ ჟოზე მაურინიოს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, კვარაცხელიას გაჩერებას როგორ აპირებთო და მანაც იხუმრა, ახლოს თუ ჩამივლის, ჩავარტყამო. რეალურად კი, მთელი 90 წუთის განმავლობაში, კვარაცხელიას ორი კაცი მეურვეობდა, მესამე აზღვევდა და სწორედ ამიტომ, „ნაპოლელებმა“ მოშიშვლებული მარჯვენა ფლანგი აიკლეს. ერთადერთი გოლი ვიქტორ ოსიმენმა ულამაზეს სტილში გაიტანა და გოლში კვარაცხელიას მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა ნამატჩევს იტალიური მედია ოსიმენზე კი არა, ქართველზე წერდა.

„მოედნის ცენტრში ქართველმა ფენომენმა (ჰო, ზუსტად ეს ტერმინი წერია „კორიერე დელო სპორტში“) მეტოქე რიკ კარსდორპს ბურთი ფეხებშუა გაუტარა და სახიფათო იერიში დაიწყო, თუმცა ამ დროს დაინახა, რომ მასპინძელთა ნახევარმცველი რობერტო პელეგრინი მინდორზე იწვა და ტკივილისგან ყვიროდა. კვარაცხელიამ იერიში არ გააგრძელა, ბურთი აუტზე გადააგდო და ექიმებს მოედანზე შესვლის შესაძლებლობაც მიეცათ. ეს დიდი სპორტსმენის საქციელია და ადგილობრივმა პუბლიკამ კვარაცხელიას ტაში ფეხზე ადგომით დაუკრა“, – წერს იტალიური მედია.

მომდევნო შეხვედრას ნეაპოლელები 26 ოქტომბერს, ჩემპიონთა ლიგაზე გამართავენ და საკუთარ მოედანზე „რეინჯერსს“ უმასპინძლებენ. იმის გათვალისწინებით, რომ 4 ტურის შემდეგ, „ნაპოლის“ ჯგუფიდან გასვლა განაღდებული აქვს, არ არის გამორიცხული, მწვრთნელმა სათადარიგო შემადგენლობა ათამაშოს.

„ვალენსიას“ მამარდაშვილს ართმევენ



ესპანური „ვალენსიას“ მესვეურები დროზე მიხვდნენ, რომ გიორგი მამარდაშვილს მათთან დიდხანს არავინ გააჩერებს. ამიტომაც იყო, ორიოდე კვირის წინ, ქართველ კიპერს ახალი ხელშეკრულება რომ გაუფორმეს, ვადაც გაზარდეს, ხელფასიც და გამოსასყიდი თანხაც. თუ აქამდე, გიოს შეძენა 20 მილიონ ევროდ იყო შესაძლებელი, ახლა მისი ფასი 100 მილიონია. კონტრაქტში ჩაწერილი ციფრის მიუხედავად, ყველა თანხმდება, რომ რეალურად, 70 მილიონი ევროს გადახდის შემთხვევაშიც კი, მამარდაშვილის გასხვისება პრობლემა არ იქნება. ჰორიზონტზე ორი კლუბი ჩანს – ტურინის „იუვენტუსი“ და ლონდონის „ტოტენჰემი“.

„ბებერ სინიორას“ სურვილი აქვს, ახალი გუნდის შენება დაიწყოს და ეს ყველაფერი ნომერ პირველი პოზიციით გაამაგროს. ამიტომაც, მომავლის გუნდის გეგმებში 32 წლის პოლონელი ვოიცეხ სჩესნი ნამდვილად არ შედის, მამარდაშვილი კი იდეალური ვარიანტია, თუმცა... აპენინური მედია ამტკიცებს, გამორიცხულია „იუვემ“ ეს ტრანსფერი განახორციელოს, რადგან საამისო თანხები კლუბს უბრალოდ არ აქვს და იმის გათვალისწინებით წელს როგორ ასპარეზობს, უკეთესი მოლოდინი არც მომავალი სეზონისთვის უნდა ჰქონდესო.

სამაგიეროდ, „ტოტენჰემია“ დიდ გულზე. „მამლების“ მეკარე და კაპიტანი, ლეგენდარული უგო ლორისი დეკემბერში 36 წლის ხდება და იმის მიუხედავად, რომ კარიერის გაგრძელებას კიდევ აპირებს, უმაღლეს დონეზე თამაში აშკარად უჭირს, რაც 12 შეხვედრაში გაშვებულ 14 გოლშიც აისახა. სწორედ ამიტომ, ლონდონელთა მესვეურები და რაც მთავარია, გუნდის თავკაცი ანტონიო კონტე, ახალ კიპერს ეძებენ და სიაში ნომერ პირველი სწორედ მამარდაშვილია, თანაც „ტოტენჰემს“ ნამდვილად შეუძლია 70 მილიონი გადაიხადოს და ამ კლუბში გადასვლა გიორგისთვის ევროთასებზე მუდმივ ასპარეზობას ნიშნავს.

ოთხი მედალი აბუ-დაბიდან

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, აბუ-დაბიში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, ლაშა გუჯეჯიანმა შეიძლება ითქვას, ის ძიუდოისტები წაიყვანა, რომლებსაც ნაკრებში პირველ ნომრობაზე აქვთ პრეტენზია. შედეგად, ჩვენი ნაკრები აბუ დაბიდან ურიგო შედეგით ნამდვილად არ მოდის.

ოქროს მედლები გიორგი სარდალაშვილმა და ბექა ღვინიაშვილმა მოიპოვეს, ვერცხლის მედალი – სოფიო სომხიშვილმა, ხოლო ბრინჯაოს ეთერ ლიპარტელიანი დაეუფლა. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, როგორც სარდალაშვილის, ისე ღვინიაშვილის გამორჩეული ასპარეზობა. მათ ყველა მეტოქე, პრაქტიკულად, ერთი ამოსუნთქვით გაიარეს და იმდენად დამაჯერებლად მოიგეს ოქროს მედლები, რომ ნაკრების თავკაცებს შემდეგი ტურნირისთვის შემადგენლობის დაყენებამდე სერიოზული დაფიქრება მოუწევთ.

არველაძე ქეცბაიასთან?!

ინგლისური „ჰალიდან“ გათავისუფლებული შოთა არველაძე, შესაძლოა, სამუშაოდ კვიპროსში წავიდეს. მოგეხსენებათ, ამ ქვეყანაში, წლებია, ქართველი სპეციალისტი, არველაძის მეგობარი და ყოფილი თანაგუნდელი, თემურ ქეცბაია მოღვაწეობს და აგერ, თემო ახლა კვიპროსის უპირველს გუნდს, ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს უძღვება.

რაც შეეხება არველაძეს, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ მან ადგილობრივი „ომონია“ ჩაიბაროს. კლუბს დიდი ამბიციები აქვს, მაგრამ სეზონი აშკარად არასახარბიელოდ დაიწყო და სწორედ ამიტომ, გუნდის თავკაცი რეინ ლენონი გაათავისუფლეს. მის ნაცვლად კი, კვიპროსული მედია სწორედ არველაძეს განიხილავს და ვნახოთ.

რონალდუ ზამთარში „მანჩესტერიდან“ მიდის

ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, კრიშტიანუ რონალდუ 37 წლისაა და რაღა თქმა უნდა, ძველებურად ვეღარ ბრწყინავს. ამის მიუხედავად, პორტუგალიელი შესაშურ ფორმაშია და მსოფლიოს მოახლოებულ ჩემპიონატზე, პორტუგალიის ნაკრებს სწორედ ის უკაპიტნებს. ამისთვის კი სათამაშო პრაქტიკა აუცილებლად სჭირდება, მაგრამ რად გინდა – „მანჩესტერის“ თავკაცი ერიკ ტენ ჰაგი ამის შესაძლებლობას ნაკლებად აძლევს. ინგლისის პრემიერ-ლიგის ბოლოსწინა ტურში, „მანჩესტერი“ „ტოტენჰემს“ ამარცხებდა და მწვრთნელმა მოედანზე კრიშტიანუს შეშვება განიზრახა, თუმცა 87-ე წუთზე ანუ დროის გასაყვანად მინდორზე შესვლა თავად პორტუგალიელმა იუარა და სტადიონი დემონსტრაციულად დატოვა. ტენ ჰაგმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამ პრობლემას ერთ დღეში მოვაგვარებო და... რონალდუ გუნდიდან მოკვეთა, ბოლოს გამართულ ტურში კი, „ჩელსის“ წინააღმდეგ, სამატჩო განაცხადშიც არ შეიყვანა.

უდიდესი ალბათობით, პორტუგალიელი „მანჩესტერს“ ზამთარში დატოვებს და მისი შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა „ჩელსიმ“. თანაც, ახალ გუნდში გადასვლასთან ერთად, რონალდუ მზადაა, ხელფასი საგრძნობლად დაიკლოს და სანაცვლოდ, ხშირად თამაშის გარანტია მიიღოს.

ბითაძემ NBA-ში კარიერის მატჩი ითამაშა

ამერიკული საკალათბურთო ასოციაციის მორიგ ტურში, გოგა ბითაძის „ინდიანამ“ „დეტროიტს“ უმასპინძლა და თვალსასეირო ბრძოლაში 124:115 დაამარცხა. შეიძლება ითქვას, რომ თავის ამერიკულ კარიერაში, სწორედ ეს შეხვედრა იყო გოგა ბითაძესთვის საუკეთესო.

ქართველმა პარკეტზე 25.23 წუთი გაატარა და ამ დროის განმავლობაში, მეტოქეს 14 ქულა ჩაუგდი, 15 ბურთი მოუხსნა (8 შეტევაში), 4 შედეგიანი გადაცემა გააკეთა, ერთი ბურთი ჩაჭრა და ერთხელაც დააფარა. საინტერესოა, რომ გოგას საჯარიმოების ტყორცნის 100%-იანი მაჩვენებელი ჰქონდა – მან ხუთიდან, ხუთივე საჯარიმო ჩააგდო.

ორმაგი სტანდარტი თუ სასაცილო სანქციები

22 ოქტომბერს, აბუ დაბიში, UFC-ის მსუბუქი წონის ჩემპიონი ჩარლზ ოლივეირა, ჩეჩენმა მებრძოლმა ისლამ მახაჩევმა დაამარცხა და ჩემპიონის ქამარიც აართვა. ეს შეხვედრა ჩვენი გაზეთის ყურადღების ცენტრში არანაირად არ მოხვდებოდა, რომ არა ერთი საინტერესო რამ. შეხვედრის შემდეგ, ჩეჩნეთის დელეგაციის წარმომადგენლებმა ერთმანეთში რაღაც ვერ გაიყვეს. გაწევ-გამოწევა ხელის დარტყმითაც დასრულდა და ამ ყველაფერში ჩართული მსოფლიოს უძლეველი ჩემპიონი, ხაბიბ ნურმაგომედოვიც იყო, მაგრამ...

რეალურად, გაწევ-გამოწევა რამზან კადიროვის შვილის გამო ატყდა, რომელმაც დელეგაციის ერთ-ერთ წევრს რაღაც უთხრა, მან ხელი ჰკრა და დაიწყო... იცით, რა გვაინტერესებს? ამერიკამ და ევროპამ კადიროვის ცოლ-შვილი კი არა, ლამის, ძაღლები და ცხენებიც რომ დაასანქცირა, როგორ მოხდა, რომ მისი შვილი გროზნო-სტამბოლი-ბერლინი-აბუ-დაბის ავიარეისით ასეთ შეჯიბრზე ჩაფრინდა და ახლა, ევროპაში ერთი კვირით დარჩენასაც აპირებს. როგორც ამბობენ, სანქციების დაწესების შემდეგ, ევროპაში ეს მისი პირველი ვოიაჟი არ არის და რაც მთავარია, ის არა შეცვლილი, არამედ, საკუთარი სახელითა და გვარით მოგზაურობს.

18 წლის ლიზი გოგუას გერმანული წარმატების ფორმულა

ლიკა თორთლაძე

როგორ მოხვდა გერმანულ „Voice“-ში და როგორ შეძლო სამი მწვრთნელის შემოტრიალება

18 წლის ქართველმა, ლიზი გოგუამ გერმანელი მსმენელი უკვე არაერთხელ გააოცა – საერთაშორისო მუსიკალური პროექტის, გერმანული Voice-ის ნახევარფინალისტი გახდა და ამჟამად მომდევნო გამოსვლისათვის ემზადება. პირველ ტურში, ე.წ. ბრმა ქასთინგზე, ქართველი კონკურსანტი Etta James-ის სიმღერით – I'd Rather Go Blind-ით წარსდგა ჟიურის წინაშე და უნიკალური ხმით მოხიბლული სამი მწვრთნელის მოტრიალება შეძლო. სწორედ ამ შესრულებით გადადგა ლიზიმ პირველი ნაბიჯები დიდი წარმატებისკენ. მის სიმღერას არც ქართველი მსმენელი დაუტოვებია გულგრილი... გერმანიაში წასვლა მომღერალმა მოულოდნელად, მამის ავადმყოფობის გამო გადაწყვიტა. სხვა მნიშვნელოვან დეტალებზე, გეგმებსა და ნახევარფინალის სამზადისზე მომღერალი გაზეთ „ვერსიას“ ესაუბრა.

– ლიზი, უკვე ფართო საზოგადოებამ გაგიცნო, შენი გამოსვლით ქართველი მსმენელი ძალიან ამაყობს. „ვერსია“ აქტიურად ადევნებდა თვალს შენს თითოეულ წარმატებულ გამოსვლას. მიამბე, რა გზა გაიარე ამ წარმატებამდე და როგორ მიიღე გერმანულ Voice-ში მონაწილეობის გადაწყვეტილება?

– სანამ საქართველოდან გერმანიაში გადავიდოდი საცხოვრებლად, აქტიურად ვმონაწილეობდი სხვადასხვა მუსიკალურ კონკურსში, მიმღერია არაერთ კონცერტზე, ჩართული ვიყავი მრავალ მუსიკალურ პროექტში. სიმღერას ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, ყველაფერ ამას ჩამოვშორდი და მამის ავადმყოფობის გამო გერმანიაში წამოვედი. აქ კი, რა თქმა უნდა, ისევ ძალიან დიდი სურვილი გამიჩნდა, ჩემი საყვარელი საქმე გამეგრძელებინა. საუკეთესო გზა და შესაძლებლობა, სწორედ გერმანულ „ვოისში“ მონაწილეობა იყო. ყოველთვის ვოცნებობდი, მონაწილეობა მიმეღო მსგავს საერთაშორისო პროექტში და მემღერა დიდ სცენაზე. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის სურვილი ჯერ კიდევ ორი წლის წინ მქონდა, თუმცა იმ დროისთვის გერმანული ენა სრულფასოვნად არ ვიცოდი. ვოკალში საქართველოდან დისტანციურად მამეცადინებდა ჩემი პედაგოგი, მეკო ქავთარაძე. როდესაც მივხვდი, რომ საკონკურსოდ მზად ვიყავი, მხოლოდ ამის შემდეგ გადავდგი ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

– ტურიდან ტურამდე მომზადება, ცხადია, ძალიან დიდ შრომასა და ენერგიას მოითხოვს, ალბათ, ამას საკმაოდ დიდი დროც მიაქვს... როგორია შენი სამზადისი სცენაზე გამოსვლისთვის, როგორ უთავსებ სწავლასა და კონკურსში მონაწილეობას ერთმანეთს?

– ბრმა ქასთინგისათვის მომზადებას დიდი დრო არ დასჭირვებია, რადგან შერჩეული რეპერტუარი ჩვენი, თავად მონაწილეების შეთავაზებული იყო. შესაბამისად, კონკრეტულ სიმღერებზე ადრევე ნამუშევარი გვქონდა. მეორე და მესამე ტურებისათვის კი უკვე სიმღერების ახალი ვერსიები იქმნება, კონკურსანტებიც წყვილდებიან, რაც მეტ დროსა და შრომას მოითხოვს. ორი კვირის განმავლობაში, ყოველ დღე, დილის 08.00 საათიდან ვიწყებდით რეპეტიციებს და ხანდახან საღამოს 23.00 საათამდე გვიწევდა ვოკალის პედაგოგებთან მეცადინეობა. სწავლას რაც შეეხება, ხელი აქამდე არ შემშლია, რადგან გამიმართლა და განვლილ ტურებს არდადეგები დაემთხვა. მართალია, ნახევარფინალი სკოლის გამოცდების პერიოდს ემთხვევა, მაგრამ მაინც დიდი იმედი მაქვს, ხელს არ შემიშლის.

– ლიზი, ბრმა ქასთინგის ჩანაწერში ნათლად ჩანს შენი უსაზღვრო ემოცია, როგორი ბედნიერი ხარ იმ მომენტში, როდესაც სამი მწვრთნელი დაინახე, ელოდი ასეთ დიდ წარმატებას?

– სცენაზე გასვლამდე ვნერვიულობდი, რადგან სხვა ქვეყანაში ვარ, აქ სხვა მსმენელია და სხვა გემოვნება აქვთ. მომიბრუნდებოდნენ თუ არა მწვრთნელები, ამაში დარწმუნებული ნამდვილად არ ვყოფილვარ, რადგან დიდი შანსია, საქართველოში მოეწონო საზოგადოებას, სხვა ქვეყანაში – არა. აღსანიშნავია, რომ იმდენად პროფესიონალ ბენდსა და მუსიკოსებთან ერთად ვმუშაობ, ეს კიდევ უფრო მათავისუფლებდა ფიქრისაგან და მხოლოდ იმაზე ვიყავი კონცენტრირებული, ჩემი გამოსვლით სიამოვნება მიმეღო. როცა შემობრუნებული მწვრთნელები დავინახე, უზომო ბედნიერების განცდა დამეუფლა.

– როგორც „ვოისის“ ერთ-ერთი, უკვე წარმატებული კონკურსანტი, როგორ ფიქრობ, რამდენად დიდი კონკურენციაა გერმანულ პროექტში საქართველოსთან შედარებით და რამდენად რთულია, გახდე მისი მონაწილე?

– პროექტში მაღალი სტანდარტია, მონაწილეების შერჩევა რთულია. აქ ბევრ ვიდეოჩანაწერს მოითხოვენ, ყურადღება ექცევა გამოცდილებასა და სხვადასხვა პროექტში მონაწილეობას. შეიძლება ითქვას, რომ თითოეული კონკურსანტი პროფესიონალი მომღერალია. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კონკურენციაც დიდია...

– რამდენად მოგწონს გარემო, სადაც საყვარელ საქმეს აკეთებ?

– გერმანულ „ვოისს“ ჩვენთვის მეგობრული და ძალიან სასიამოვნო გარემო აქვს შექმნილი, არ იგრძნობა დაძაბულობა, არავინ ფიქრობს იმაზე, რომ პროექტს დატოვებს და ეს ძალიან გვიმარტივებს მუშაობას. როდესაც რინგისთვის ვემზადებოდით, ჩვენმა მწვრნელმა, სტეფანიმ ერთ გუნდად შეგვკრა. ისე გვესაუბრებოდა, რომ კონკურსი აღვიქვით თამაშად, რომელსაც თავისი წესები აქვს, ამ წესებს კი ვერ შევცვლიდით. ჩვენი მიზანი ერთმანეთის დამარცხება არ ყოფილა, თავიდანვე ორიენტირებულები მხოლოდ და მხოლოდ კარგი შედეგის მიღწევაზე ვიყავით, ეს მიდგომა კი ყოველთვის ამართლებს.

– ლიზი, უშუალოდ რეპერტუარის შერჩევისა და მორგების პროცესი როგორია გერმანულ „ვოისში“ – არსებობს თუ არა ისეთი მოთხოვნები, რომლებიც შესაძლოა, კონკურსანტებისთვის რთულად შესასრულებელი აღმოჩნდეს?

– ჩვენ უმაღლესი დონის პროფესიონალებთან გვაქვს შეხება. რეპერტუარის შერჩევისას, საქართველოს მუსიკალურ პროექტებთან შედარებით, განსხვავება ნამდვილად იგრძნობა. აქ პედაგოგები მონაწილეების კომფორტზე ზრუნავენ და ამ მხრივ, მართლაც სრული თავისუფლება გვაქვს.

– ამ ეტაპზე, მონაწილეები ძალიან მნიშვნელოვანი ეპიზოდისთვის ემზადებით და ბუნებრივია, იმატებს მღელვარებაც. როგორც ვიცი, ნახევარფინალი უკვე პირდაპირი ეთერით გადაიცემა. დარწმუნებული ვარ, მსმენელი მოუთმენლად ელოდება შენს მომდევნო პერფორმანსს. საინტერესოა, რა ჟანრში წარსდგები ჟიურის წინაშე?

– ნახევარფინალი 28 ოქტომბერს გაიმართება. ჩემს მიერ შერჩეული სიმღერა მიეკუთვნება იმ ჟანრს, რომელშიც აქამდე არასდროს მიმღერია. მაყურებელს ელოდება ძალიან საინტერესო სანახაობა – იხილავს ისეთ შოუს ჩემი მონაწილეობით, რომელიც არასდროს უნახავს. ვნახოთ, როგორ მოეწონებათ ჩემი გამოსვლა.

– ალბათ, ადევნებ თვალს ქართველი მსმენელის გამოხმაურებებს, სოციალური ქსელი სრულიად მოიცვა შენმა ვიდეოებმა, რას ეტყოდი შენს ქართველ გულშემატკივარს?

– ძალიან აქტიურად ვკითხულობ კომენტარებს და უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობ. მინდა, ქართველ გულშემატკივრებს ვუთხრა, რომ ასეთი გვერდით დგომითა და დადებითი ემოციებით, უდიდეს სტიმულსა და მოტივაციას მაძლევენ, რათა კონსკურსში გაცილებით უკეთეს შედეგს მივაღწიო. კომენტარების კითხვისას, ცრემლს ვერ ვიკავებდით მე და ჩემი ოჯახის წევრებიც.

– პროექტის დასრულების შემდეგ, როგორ აპირებ კარიერის გაგრძელებას, რა გეგმები გაქვს და აპირებ თუ არა უახლოეს მომავალში საქართველოში ჩამოსვლას?

– წელს სკოლას ვამთავრებ, შემდგომ კი ვაპირებ სწავლის გაგრძელებას – ბერლინში უკვე შევარჩიე ორი უნივერსიტეტი და მათ შორის არჩევანს გავაკეთებ. საქართველოში არდადეგების პერიოდში ვგეგმავ ჩამოსვლას, თუმცა კარიერის მხრივ, ვფიქრობ, აქ ბევრად მეტი შანსი მაქვს პროფესიული ზრდისა და განვითარებისთვის. საქართველო ძალიან მენატრება და აუცილებლად დავბრუნდები.

– ლიზი, მინდა, წარმატებები გისურვო. საქართველოდან გგულშემატკივრობთ და მოუთმენლად ველით შენს მომდევნო პერფორმანსს.

სამეფო ტორტის ნაჭერი აუქციონზე გაიყიდება

ბრიტანელი მონარქის, ჩარლზისა და პრინცესა დაიანას საქორწილო ხილის ტორტის ნაჭერი აუქციონზე გაიყიდება. Daily Mail-ის ინფორმაციით, სადღესასწაულო დესერტის ნაჭერი ნაიჯელ რიკეთსს აჩუქეს. ის სასახლეში მუშაობდა და სასაჩუქრე შეფუთვაში, ტორტის ამ ნაჭერს სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა. რიკეთსი ამ წლის დასაწყისში გარდაიცვალა. ოჯახის წევრებმა ერთ-ერთი აუქციონის სახლიდან ექსპერტები მიიყვანეს და სახლში არსებული ნივთები შეაფასებინეს. მაშინ აღმოაჩინეს ტორტის ეს ნაჭერიც. მიუხედავად იმისა, რომ დესერტი 41 წლისაა, ის თითქმის არ გაფუჭებულა. შესაძლოა, იმიტომ, რომ მისი მომზადებისას ბევრი ალკოჰოლი გამოიყენეს. ამჟამად, ლოტის ღირებულება 300 გირვანქაა, თუმცა ვარაუდობენ, რომ ის გაცილებით ძვირად გაიყიდება.

„ძილის ტურიზმი“ პოპულარობას იძენს

მთელ მსოფლიოში, სხვადასხვა კურორტებსა თუ სასტუმროებში, ძილზე ორიენტირებული სულ უფრო მეტი სერვისი ჩნდება. ბევრ ტურისტს უბრალოდ სურს, რომ კარგად გამოიძინოს და ასე აღიდგინოს ჯანმთელობა. დასვენების ასეთი ფორმა განსაკუთრებით პოპულარული კორონავირუსის პანდემიის დაწყების შემდეგ გაჩნდა. შედეგად, სასტუმროების ინდუსტრიის ბევრმა მსხვილმა მოთამაშემ ყურადღება გადაიტანა მათზე, რომლებიც გამოძინებას ვერ ახერხებენ. მაგალითად, ტურისტებს სთავაზობენ ნომრებს, რომლებიც ინოვაციური ხმის იზოლაციით არიან აღჭურვილნი ან გაუმჯობესებული საწოლები აქვთ, ასევე, სპეციალური პირობებია მედიტაციისა და რელაქსისთვის, არის არომათერაპია და ბალახეული სასმელები.

მფრინავი ავტო გამოსცადეს

ელექტრომობილების მწარმოებელმა ჩინურმა კომპანია XPeng-მა, დუბაიში თავისი მფრინავი ავტომობილის პროტოტიპი გამოსცადა. როგორც CNN იტყობინება, ავტოს ერთდროულად ორი მგზავრის გადაყვანა შეუძლია, სიჩქარე კი საათში 130 კილომეტრს აღწევს. მფრინავი მანქანის მოდელი XPeng X2 ჰაერში 90 წამის განმავლობაში იმყოფებოდა. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, მათი ტექნოლოგია ცხოვრებაში გამოყენებისთვის თითქმის უკვე მზად არის, თუმცა, საკანონმდელო რეგულაციები, რომელიც მფრინავი ავტოს მიმოსვლას შესაძლებელს გახდის, ჯერჯერობით, არ მიუღიათ. კომპანიაში ვარაუდობენ, რომ მგზავრების გადაყვანას ამ მანქანით, წინასწარ განსაზღვრულ სივრცეებში, დაახლოებით, 5 წლის შემდეგ შეძლებენ.

ყველაზე ლამაზი ქალი გამოავლინეს

პლასტიკურმა ქირურგმა ჯულიან დე სილვამ, მეცნიერული მოსაზრებებით, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალების სია შეადგინა. სილამაზის გამოსავლენად, მან ვარსკვლავების სახის პროპორციები „ოქროს კვეთის“ დახმარებით გაზომა. აღმოჩნდა, რომ ამ მეთოდით, ყველაზე პროპორციული სახის ნაკვთები ბრიტანელ მსახიობ ჯოდი კომერს აქვს – მისი შედეგი (94.52%) იდეალურ პარამეტრებს უახლოვდება. მეორე ადგილზეა მსახიობი ზენდეა – 94.35%-ით, მესამეზე კი მოდელი ბელა ჰადიდი – 94.35%-ით გავიდა. მომღერალი ბიონსე მეოთხე ადგილზე მოხვდა – 92.44%-ით, მეხუთეზე კი პოპ-შემსრულებელი არიანა გრანდეა – 91.81%-ით.

მონეტების კოლექცია „ჰარი პოტერს“ მიუძღვნეს



„პოტერიანას“ პირველი წიგნის გამოცემიდან 25 წელი გავიდა. ამ თარიღის აღსანიშნავად, დიდ ბრიტანეთში, მონეტების ახალი კოლექცია გამოუშვეს. მონეტებს ინგლისური ზარაფხანა მოჭრის. ჯოან როულინგის წიგნის პერსონაჟების გარდა, მათზე დედოფალ ელისაბედისა და ბრიტანეთის ახალი მეფე ჩარლზის გამოსახულებებიც იქნება. მონეტების ფასი 1.1-დან 5.22 გირვანქა სტერლინგამდე მერყეობს. როულინგის პირველი წიგნი „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“ 1997 წელს გამოქვეყნდა.

ჩინოვნიკებს რთული ფრაზები აუკრძალეს

ახალი ზელანდიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ჩინოვნიკებს, მოქალაქეებთან კომუნიკაციისას, რთული ლექსიკისა და ვიწრო სპეციალიზაციის ტერმინების გამოყენებას უკრძალავს. ვარაუდობენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მარტივი ენით ნათქვამს უკეთესად გაიგებენ მიგრანტები, ასევე, დაბალი განათლებისა და ინტელექტის მქონე ადამიანები. ოპოზიციამ „მარტივი ენის კანონი“ გააკრიტიკა და პირობა დადო, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, მას გააუქმებს. პოლიტიკოსები თვლიან, რომ ეს აკრძალვა კიდევ უფრო მეტ ბიუროკრატიას შექმნის – ახლა ჩინოვნიკებს თვალ-ყური უნდა ადევნონ და მათი კომუნიკაცია გააანალიზონ.

დედის რძეს კოსმეტიკაში იყენებენ

ერთ-ერთი ამერიკული სპა-ცენტრი საკუთარ კლიენტებს უჩვეულო პროცედურას სთავაზობს – სახის ნიღაბს დედის რძისგან. სპეციალისტების თქმით, ასეთი რძე, უბრალოდ, სასწაულებს ახდენს. ცნობილია, რომ დედის რძე ბავშვის იმუნიტეტს ამაღლებს, იცავს მას ინფექციებისგან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისგან, ასთმისგან, აქვს ანტიბაქტერიული და ანტისეპტიკური თვისებები. კოსმეტოლოგებიც დარწმუნებულნი არიან, რომ დედის რძე სასარგებლოა უფროსებისთვისაც. როგორც სპა-ცენტრის დამფუძნებელი აცხადებს, ბევრი დედა იყენებს საკუთარ რძეს კოსმეტიკური პრობლემების მოსაგვარებლად, ის ნამდვილი აღმოჩენაა პრობლემური კანისთვის. რძეში ცხიმებისა და საკვები ელემენტების მაღალი კონცენტრაციაა. სპა-ცენტრი ამ მეტად სასარგებლო „ნივთიერებას“ იმ მეძუძური დედებისგან ყიდულობს, რომლებმაც სამედიცინო შემოწმება გაიარეს და დარეგისტრირებულნი არიან დედის რძის ბანკში. ამჟამად „პრეპარატს“ აკნეს, ეგზემას, დამწვრობის შედეგების აღმოსაფხვრელად, ასევე, უბრალოდ, სახის გასაწმენდად იყენებენ.

„ჭკვიანი“ შუშა სმარტფონის მფლობელს ამოიცნობს

ვისკონსინის უნივერსიტეტის სწავლულებმა წარადგინეს მარტივი და გენიალური გამოგონება, რომელიც ახალ დონეზე აიყვანს გამოსახულების ამოცნობის ტექნოლოგიას. ფუნქცია „იცანი პატრონი“ დღეს ბევრ ტელეფონზეა. სიახლე კი ამ მოწყობილობებს საშუალებას მისცემს, გამოსახულება რამე გადამცემის, მიკროსქემებისა და ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების გარეშე ამოიცნოს. საამისოდ, მკვლევარებმა ნახევრადგამჭვირვალე შუშა გამოიყენეს, რომელშიც განსაზღვრული წესით ჩამონტაჟებულია ჰაერის უმცირესი ბუშტუკები, ასევე, შუქის მშთანთქავი მასალა. გამოგონების ავტორები აღნიშნავენ, რომ „ჭკვიანი“ შუშა სწრაფად მზადდება და არც დიდი ფინანსური ხარჯები სჭირდება. ამასთან, ერთი და იგივე ფრაგმენტი შეიძლება ასობით ათასჯერ გამოიყენო, რადგან მასალა ხარისხს არ კარგავს.

„ფასტფუდი“ იმუნურ სისტემას ანგრევს

გერმანელი სწავლულების მიერ ჩატარებულმა ახალმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ „ფასტფუდი“ ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და მისი იმუნური სისტემის მუშაობას არღვევს. ბონის უნივერსიტეტის ექსპერტების თქმით, იმუნური სისტემა ისევე რეაგირებს მაღალკალორიულ და დიდი რაოდენობით ცხიმის შემცველ მავნე პროდუქტებზე, როგორც ბაქტერიულ ინფექციებზე და ორგანიზმის დაცვას ააქტიურებს. ერთი შეხედვით, თითქოს, ეს კარგია, მაგრამ გამუდმებით ასეთი დაძაბული მდგომარეობა იწვევს ანთებას, რაც შესაძლოა, ისეთი დაავადებების განვითარების მიზეზი გახდეს, როგორიცაა დიაბეტი და ათეროსკლეროზი. გარდა ამისა, იმუნური სისტემა მაშინაც კი აგრძელებს ანალოგიურად მოქმედებას, როცა ადამიანი კვების ჯანსაღ რაციონზე გადადის. ეს იმას უკავშირდება, რომ თანდაყოლილ სისტემას თავისებური მეხსიერება აქვს.

ქალებს ჰაერის დაბინძურება ასუქებთ

ჰაერის დაბინძურება გავლენას ახდენს ქალების წონაზე, სხეულის მასის ინდექსზე, წელის გარშემოწერილობასა და ცხიმდაგროვებებზე. სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც გამუდმებით სუნთქავენ მცირე ნაწილაკებით, აზოტის დიოქსიდითა და ოზონით, ორგანიზმში ნაკლები კუთნოვანი მასა და ცხიმის შემცველობა აქვთ. ასეთი დასკვნა ამერიკელმა სწავლულებმა გააკეთეს, მიჩიგანის უნივერსიტეტიდან. მათ სხვადასხვა რასის წარმომადგენელი 1.7 ათასი ქალის მონაცემები გააანალიზეს, რომელთაც რვა წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. დაბინძურებული ჰაერის გამო, ქალების სხეულში 5%-ით მეტი ცხიმი დაგროვდა. მავნე ატმოსფერული ნაწილაკების გავლენის კომპენსირება ფიზიკური აქტივობითაა შესაძლებელი – აცხადებენ მკვლევარები.

ნიაგარაში ოქროს თევზი დაიჭირეს

ნიუ-იორკის შტატის არაკომერციული ორგანიზაცია Buffalo Niagara Waterkeeper-ის წევრები, რომლებიც წყლის რესურსების დაცვით არიან დაკავებულნი, მოუწოდებენ მოსახლეობას, უნიტაზში არ ჩარეცხონ აკვარიუმების ბინადრები. რამდენიმე დღის წინ, ერისა და ონტარიოს ტბების შემაერთებელ მდინარე ნიაგარაზე, გამწმენდ ნაგებობასთან ახლოს, მათ დიდი ზომის – 35-სანტიმეტრიანი ოქროს თევზი დაიჭირეს. ის სადრენაჟე სისტემაში იყო გაჭედილი. ჩვეულებრივ, ასეთი თევზი იქ არ ბინადრობს, უბრალოდ, ის ვიღაცამ გადააგდო. ეს თევზები მდინარის წყალში მთელი წელი ცხოვრობენ და ანადგურებენ ეკოსისტემას. თუკი მოგბეზრდათ თქვენი ოქროს თევზი, ნუ გადააგდებთ ან ჩარეცხავთ მას, ის ზოომაღაზიაში დააბრუნეთ, – მოუწოდებენ მოსახლეობას ორგანიზაციის წევრები.

ბოსტნეულის კაფსულებს ამზადებენ

ისრაელის კომპანია FoodTech ANINA Culinary Art, უნიკალურ მზა კერძებს უშვებს, რომელიც, ეგრეთ წოდებული, „მახინჯი“ ბოსტნეულისგან, კაფსულების სახითაა დამზადებული. მას მხოლოდ მიკროტალღურ ღუმელში გაცხელება სჭირდება და სადილიც მზადაა. ამ გზით, კომპანია ინოვაციური ტექნოლოგიების, დიზაინის სფეროში გამოცდილებისა და კულინარიის ცოდნის წყალობით, საკვების ნარჩენების შესამცირებლად იბრძვის და გვაჩვენებს, რომ ულამაზო პროდუქტების გადამუშავებით, ჯადოსნური და გემრიელი კერძების მომზადება შეიძლება. კაფსულის გარე გარსი გამშრალი ბოსტნეულის ან ხილისგან შედგება, შიგნითა ნაწილი კი სხვასხვა ნატურალურ პროდუქტს შეიცავს, რომლებიც რეცეპტების მიხედვით იცვლებიან. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია Pasta Primavera (ბოსტნეული, იტალიური ბალახეული და მაკარონი), ასევე, ხმელთაშუა ზღვის ჯამი (ბოსტნეული, ბულგური და შავი ოსპი) და ვიეტნამური ჯამი (ბრინჯის ლაფშა და ბოსტნეული). ყოველი კაფსულა შეიცავს მცენარეულ საკვებს, რომელიც მდიდარია ცილებით, უჯრედისით, საღებავისა და კონსერვანტების გარეშე. ეს ადამიანის კვების დღიური ნორმის 40%-ს შეადგენს. ისრაელში წარმატებული სტარტის შემდეგ, კომპანია მის განვითარებას სხვა ქვეყნებშიც გეგმავს.

ეკოსაწვავი ბოცვრების ექსკრემენტებისგან

იაპონელები სულ მალე შექმნიან საწვავს, რომლისთვისაც ბოცვრების ექსკრემენტებს გამოიყენებენ, – ამის შესახებ ავიაკომპანია All Nippon Airways-მა განაცხადა. ასეთი საწვავის მისაღებად გამოიყენებენ მეტალურგიული წარმოების გადამუშავებულ ნარჩენებს, რომელსაც ეთანოლად ბოცვრების ექსკრემენტების დახმარებით გარდაქმნიან. ეთანოლს კი უკვე ავიასაწვავად აქცევენ. ასე რომ, ახალი რესურსებდამზოგველი საწვავი ნახევრად ორგანული იქნება. ასეთი თანამედროვე სახის საწვავი საშუალებას მოგვცემს, შევამციროთ ჰაერში გამონაბოლქვი, – აცხადებენ ავიაკომპანიაში. ახალ ნედლეულს ამ შემოდგომაზე დატესტავენ, ბაზარზე კი მისი გამოსვლა მომავალი წლისთვის იგეგმება.

თაფლი გულის შეტევისგან იცავს

თაფლის სამკურნალო თვისებებს, რაც კაცობრიობისთვის ათასწლეულების განმავლობაშია ცნობილი, კიდევ ერთი მიემატა – ვაშინგტონის უნივერსიტეტის სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ნატურალური შაქარი, რომელსაც თაფლი შეიცავს, გულის შეტევებს აღკვეთს. სპეციალისტების თქმით, შაქარი, რომელიც ტრეგალოზას სახელითაა ცნობილი, ააქტიურებს ცილას, რომელიც, თავის მხრივ, იმუნური სისტემის სტიმულირებას ახდენს, რის შედეგადაც არტერიებიდან ცხიმის ნადები გამოიდევნება. ეს ნადები, შესაძლოა, ჰიპერტონიის, გულის დაავადებებისა და გულის შეტევის მიზეზი გახდეს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ტრეგალოზას შეიცავს სოკო და ზღვის პროდუქტები.

სახლის გათბობა ლუდით გადაწყვიტეს

ავსტრიის ქალაქ შვეხატში ახალ საცხოვრებელ სახლს აშენებენ, რომლის გათბობასაც ლუდის დახმარებით აპირებენ. 900-ბინიანი სახლი ძველი ლუდსახარშის ტერიტორიაზე შენდება, მისგან ას მეტრში კი ქარვისფერი სასმელის თანამედროვე ქარხანაა, რომელიც ახალი სახლის მობინადრეებისთვის სითბოს მიმწოდებელი უნდა გახდეს. გათბობისთვის ქარხნის გადაუმუშავებელ სითბოს გამოიყენებენ, რაც სარგებელს მოუტანს საზოგადოებასაც და ეკოლოგიასაც. აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინ, ერთ-ერთმა ავსტრიულმა ლუდის ქარხანამ წარადგინა სახლის გათბობის პროექტი, რომელიც ლუდის დამზადებისას, დადუღების სითბოს გამოყენებას გულისხმობდა. მათი ჩანაფიქრით, ლუდის კასრებიდან გამომუშავებული სითბო პირდაპირ საცხოვრებელ კვარტალში მიდიოდა.

სიმსუქნე სიცოცხლეს ახანგრძლივებს?

ჭარბი წონის მქონე ადამიანები, რომელთაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებთ, უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე ამავე დაავადების მქონე ნორმალური წონის ადამიანები. ასეთ პარადოქსულ დასკვნამდე ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ. ისინი 7.5 წლის განმავლობაში, 6 876 ვეტერანს აკვირდებოდნენ, რომელთაც გულის დაავადებები აწუხებდათ. მკვლევართა მონაცემებით, ამ პერიოდში, ექსპერიმენტში მონაწილე მამაკაცთა 23% გარდაიცვალა. მეცნიერებმა მონაცემები ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით გააანალიზეს, როგორებიცაა შაქრიანი დიაბეტი და არტერიული ჰიპერტონია. აღმოჩნდა, რომ ჭარბი წონის მქონე პაციენტებში სიკვდილის რისკი 35%-ით ნაკლები იყო, ვიდრე ნორმალური მასის მქონე ავადმყოფებში. ახალ მონაცემებს უფრო ადრინდელი კვლევების შედეგებიც ამყარებს. კერძოდ, დადგინდა, რომ ჭარბი წონა სიცოცხლეს უხანგრძლივებს გულის უკმარისობის მქონე ადამიანებს და მათაც, რომლებმაც სისხლძარღვების კორონარული შუნტირების ოპერაცია გადაიტანა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სიმსუქნის სასიკეთო გავლენის მიზეზები ჯერ კიდევ უცნობია. ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევის შედეგები არ ნიშნავს, თითქოს, ზედმეტი წონა სასარგებლოა ჩვენი ჯანმრთელობისთვის. არ არის გამორიცხული, რომ მსუქან პაციენტებს სამკურნალო პრეპარატების დიდ დოზას უნიშნავენ, ან სასიკეთო როლს სხვა ფაქტორები ასრულებენ.

ტატუ კიბოს დიაგნოსტიკისთვის

სწავლულებმა ბიოსამედიცინო ტატუ შექმნეს, რომელსაც ადრეულ სტადიაზე სიმსივნის ზოგიერთი სახეობის დიაგნოსტირება შეუძლია. ავტორები შვეიცარიელი მკვლევარები არიან, ბაზელისა და ციურიხის უნივერსიტეტებიდან. მეთოდიკა, რომელიც მელანინის გამოყოფაზეა დაფუძნებული, ლაბორატორიულ ღორებსა და თაგვებზე გამოსცადეს. კანზე დატანილი ტატუ-სენსორი ადამიანის ორგანიზმში ჰიპერკალცემიას გამოავლენს, რაც ონკოლოგიის არსებობის ერთ-ერთ ინდიკატორად ითვლება. სისხლში კალცის მაღალი შემცველობისას, მელანინის გამომუშავების გავლენით, ტატუ მუქ შეფერილობას იღებს. სპეციალისტთა მოსაზრებით, შესაძლოა, ასეთი ტატუ ონკოლოგიის მკურნალობისას, კონტროლის არაინვაზიურ მეთოდად გამოიყენონ.

საღეჭი რეზინი იღლიებისთვის

ცნობილმა ბრენდმა – Rexona განაცხადა, რომ ინოვაციური ანტიპერსპირანტი გამოუშვა საღეჭი რეზინის სახით. „ჩვენ გთავაზობთ დეზოდორის ეფექტურ და მაქსიმალურად მოხერხებულ ალტერნატივას – საღეჭ რეზინს იღლიებისთვის ანტიბაქტერიული ეფექტით. მსოფლიოში პირველი ანტიპერსპირანტი კომპაქტური კაფსულაა, მეტად რბილი ნანომასალით, რომლის ცენტრშიც სითხეა“, – აცხადებენ კომპანიის წარმომადგენლები. მათი თქმით, ამ საღეჭი რეზინის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ ყოველთვის შეძლებთ, გარშემომყოფებს შესთავაზოთ და კორექტულად გადაწყვიტოთ უსიამოვნო სუნის პრობლემა. Rexona-ს ახალი საშუალება იღლიაში უნდა ამოიდოთ და ცოტათი გაჭყლიტოთ, რათა კაფსულადან ანტიბაქტერიული გელი გამოვიდეს, რომელიც 90%-თ ანადგურებს უსიამოვნო სუნის წარმომშობ ბაქტერიებს. საღეჭი რეზინის ეფექტი 24 საათს გრძელდება. როგორც ფირმის წარმომადგენლები აცხადებენ, ანტიპერსპირანტი ბერგამოტის, კენკრის, ეგზოტიკური სანელებლებისა და მანდარინის არომატით გამოვა.

სწავლა სიბერემდეო

იტალიელმა მამაკაცმა, რომელმაც სწავლას თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი მიუძღვნა, 76 წლის ასაკში მეათე უმაღლესი განათლების მიღება მოახერხა. სამხრეთ აპენინების ქალაქ ტროას მცხოვრები ლეონარდო ალტობელი, ცოტა ხნის წინ, ბიოტექნოლოგიის დიპლომირებული სპეციალისტი გახდა. ალტობელი, რომელიც მანამდე ოჯახის ექიმად მუშაობდა და მშობლიური ქალაქის მერობაც მოასწრო, დღის დიდ ნაწილს წიგნებთან ატარებს, თუმცა მანიაკალურად არ მეცადინეობს. „ვსწავლობ მხოლოდ მაშინ, როცა გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი. თავისუფალ დროს კი სხვა გატაცებებს ვუთმობ“, – ამბობს ლეონარდო. პირველი უმაღლესი განათლება მან მედიცინის სფეროში მიიღო, შემდეგ დაამთავრა უნივერსიტეტი იურისპრუდენციის, პოლიტიკური მეცნიერების, ლიტერატურის, ფილოსოფიის, აღმზრდელობითი მეცნიერებების, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და ბოლოს, ბიოტექნოლოგიის სპეციალობებით. ამის მიუხედავად, ალტობელი მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს და არ გამორიცხავს, რომ სწავლას ღრმა სიბერემდე გააგრძელებს.

მოწევის შედეგები მემკვიდრეობით გადადის

ისეთი მავნე ჩვევა, როგორიც თამბაქოს მოწევაა, გარკვეულ ანაბეჭდს ტოვებს გენეტიკურ შემადგენელზე. შესაძლოა, მოწევის შედეგები თაობიდან თაობას გადაეცეს. მაგალითად, იმ ქალის შვილიშვილი, რომელიც თავგამოდებული მწეველი იყო, შესაძლოა, ასთმით დაავადდეს, – ასეთ ვარაუდს გამოთქვამენ ამერიკელი მეცნიერები, ლოს-ანჯელესის ბიოსამედიცინო კვლევითი ინსტიტუტიდან. მათ მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ნიკოტინი თავისებურ ნაკვალევს ტოვებს ადამიანის გენომზე. ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარდა. ფეხმძიმე მღრღნელებს აძლევდნენ ნიკოტინს, რის შემდეგაც გაირკვა, რომ მათი შთამომავლობა ასთმის განვითარებისკენ იყო მიდრეკილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პათოლოგიური გენი შემდგომ თაობასაც გადაეცემოდა მიუხეადავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ ნიკოტინის ზემოქმედების ქვეშ. ჩატარებული კვლევა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რაც ადრე კალიფორნიელმა სწავლულებმა გამოავლინეს: ბებიების მავნე ჩვევის შედეგები მათი მომავალი შვილიშვილების ჯანმრთელობაზე ახდენს გავლენას. სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიოში, დაახლოებით, 250 მილიონი მწეველი ქალია. ფეხმძიმობის პერიოდში კი მათი 12% კვლავ აგრძელებს სიგარეტის მოწევას.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.